ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 21 (77)

29.V—4.VI, 1992 წ.

წკიპურტები გინა თუ მუჯლუგუნები

ბეიკერი თბილისში დასეირნობდა...

ამ მოსალოდნელი „საფრთხის“ შესახებ ამას წინათ სასოწარკვეთილი გვაფრთხილებდა ყოფილი ხელისუფლებისადმი ერთი ნოსტალგიაჩაუმცხრალი კაცი.

უფრო მეტიც, „საფრთხის“ უფრო სერიოზულად წარმოსადგენად მან დასძინა, ბეიკერთან ერთად თბილისში ისეირნებს შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიცო.

ამ სასოწარკვეთილი წინასწარმეტყველებიდან ერთი ვარაუდი რეალობად იქცა. 25—26 მაისს თბილისის ქუჩებში მართლაც დასეირნობდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ბატონი ბეიკერი.

მომავალი წლის 26 მაისს და შესაძლოა უფრო ადრეც, არ არის გამორიცხული იგივე ჩაიდინოს თვით ბუშმაც.

ნუთუ ახლაც არ დაუჯერებთ ხსენებულ ნოსტალგიამოძალებულ პროპაგანდისტს, რომ ედუარდ შევარდნაძე ამერიკის ადგილობრივი აგენტია და ყოველნაირად ცდილობს საქართველოსკენ შეერთებული შტატების ყურადღების მიქცევას და რომ ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა ჩვენი კარის ძირის მეზობელი ჯოჰარი, გვარად დუდაევი, მზად არის თავისი უზარმაზარი მსოფლიო ავტორიტეტით დაეხმაროს საქართველოს...

* * *

ღია წერილი ილია ჭავჭავაძის მკვლელთა იდეურ მემკვიდრეებს

ამხანაგებო, სოციალ-დემოკრატებო, თქვენი პარტიის ბეჭდვითი ორგანო ამ ბოლო ხანებში მეტისმეტად დიდგულად ესხმის თავს გაზეთ „საქართველოს“. თქვენთვის ცნობილია, რომ არც გაზეთი „საქართველო“ გახლავთ ორი-სამი წლის ისტორიის მქონე და არც გაზეთი „ერთობა“. ერთიცა და მეორეც გამოდიოდა ჯერ კიდევ საქართველოს დაპყრობამდე, 1921 წლამდე.

„ერთობა“ ძველი სოციალ-დემოკრატების გაზეთი იყო.

გაზეთი იმ პარტიისა, რომელიც თავის ორგანოში ერთობ არაეროვნულ აზრებსა და შეხედულებებს ბეჭდავდა.

„საქართველო“ ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების მქონე პარტიის გაზეთი გახლდათ.

ამ ორ გაზეთს შორის, ბუნებრივია, იმჟამადაც მწვავე იდეური ბრძოლა მიმდინარეობდა.

როგორც ჩანს, ისტორია მეორდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არის საკვირველი, თუ სოციალ-დემოკრატების ორგანო თავის ორგანულ საქმედ გაზეთ „საქართველოს“ წინაღმდეგ ბრძოლასაც აქცევს.

ვიტყოდი, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ-მეთქი, მაგრამ ღმერთი არ ინებებს ამას, პირველ ყოვლისა, თქვენი პარტიის ულმერთობის გამო.

იქნებ ასეთმა აზრმა აღაფრთოვანოს მკითხველი: „პატრიოტიზმი სოციალიზმის ფარდი ცნებაა“. ამ უკვდავი თვალსაზრისის გამომთქმელი, თეორიული იწილო-ბიწილოს შემდეგ, მტკიცედ ასკვნის“... ამ აზრით, პატრიოტიზმი და სოციალიზმი ერთი და იგივეა“-ო.

რა არის ის უკვდავი აზრი პატრიოტიზმსა და სოციალიზმს შორის ტოლობის ნიშანს რომ სვამს, ამ დუნიაზე მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა უწყიან...

საერთოდაც, ეს ხალხი ტოლობის ნიშნის დასმაში ერთობ გავარჯიშებული ჩანს. მათი გაზეთის მიხედვით „ერთი და იგივეა ერი და საზოგადოება“(?)

რაკი ვარჯიში ვახსენე, ერთიც მინდა სოც.დემოკრატებს შევნიშნო. ისეთ ცნებებს, როგორიცაა სამშობლო, ერი, პატრიოტიზმი, საზოგადოება და ა.შ. სავარჯიშოდ ნუ გაუხდიან გაზეთში ვინმე ხახაშვილს, რომელიც „საქართველოში“ დასტამბულ წერილის ერთ-ერთ ავტორს მოუწოდებს,— რაკი გლეხი უოფილხარ მწერლისთვის ვერ უნდა შეგებედა და ღია წერილი არ უნდა მიგეწერაო. ეს ავტორი სამაჩაბლოელი გლეხი გახლავთ და ჩვენს ერთ რიგიან მწერალს იმაზედ კი არ ედავებოდა პეონი სჯობს თუ დაქტილი, ან ალიტერაციისა თუ სინეკდოქეს რაობაზე კი არ მსჯელობდა, არამედ შიდა ქართლის მცხოვრებთა გაჭირვებასა და უბედურებაზე ლაპარაკობდა გულდათუთქული.

არაო, მაინც თავს იკლავს ეს ხახაშვილი. „საწინააღმდეგო აზრი გაქვს? დაწერე წერილი, ოღონდ იკოდე ტოლი. ღია წერილებს ტოლი ტოლს სწერს, ნაცნობი ნაცნობს, უფრო სწორედ, ცნობილი ცნობილს.“ კეთილი და პატიოსანი, მივიღოთ ამ სოციალისტის აზრი მხედველობაში და დავტუქსოთ ერედველი გლეხი მწერალს რომ ღია წერილის მიწერა გაუბედა, მაგრამ თავად ვინ არის ეს ხახაშვილი?

მეო, მუშა ვარო, გლეხი რომ ხარ, თუ კამათი გინდა, მე უნდა მეკამათო და არა მწერალსო.

ახლა, ის მინდა ვიკითხო, ასეთი „თეორიები“ თუ აწუხებს ამ დალოცვილიშვილს, მე რას მერჩოდა?..

ყოველ მეორე სტრიქონში ჭკუას რომ მარიგებს, მე რომელი მისი ნაცნობი და ძმაკაცი ვარ (ხახაშვილის თეორიით კამათი მხოლოდ ნაცნობთან შეიძლება)

ახლა მორეს მხრივ მოვუსინჯოთ პირი ამ საქმეს.

ხახაშვილის მრწამსით, ღია წერილებს ცნობილი ცნობილს წერს.

ეტყობა თავი ერთობ ცნობილი ვინმე ჰგონია და რაკი ორიოდე მკითხველი მეც მყავს, თავი გამიყადრა. ჩემთვის დია სასურველია ასეთ ცნობილ კაცთან აზრთა გაცვლა-გამოცვლა... მაგრამ მისი ცნობილობის რადიუსი სცილდება თუ არა იმ ორღობეს, სადაც ცხოვრობს, ჭერჭერობით ვერსად ვერ დავადგინე...

მესამე.

მუშა ვარო, მუშა, გაჰყვირის ეს კაცი და გლეხს ამუნათებს: ტოლთანაა კამათი საჭირო და არა გლეხის ან მუშისა მწერალთანო.

ამხანაგო ხახაშვილო, ასე თუ ფიქრობ, არც მე უნდა მეკამათო... (მწერალთა კავშირის წიგნაკი ჩემთვის გ. მუჩაიძეს როდი აქვს ბოძებული).

ხუმრობა იქეთ იყოს და სოციალ-დემოკრატებს, სულ მშრომელი ხალხის სახელითა რომ ლაპარაკობენ მშრომელთა ასე უღმერთოდ უგულებელყოფა არ ეკადრებათ. გლეხი და მუშა რა შუაშია. წერილის დაწერას ჭკუა სჭირდება. ჭკუა კი სოციალური პრივილეგია არ გახლავთ, იგი გლეხსაც ისევე შეიძლება ჰქონდეს, როგორც აკადემიკოსს. ოღონდ ეგ არის, გააჩნია ვინ რა საქმეში და როგორ მოიხმარს მას.

ერთადერთნი ვინც ჭკუის გარეშე დატოვა ღმერთმა — სოციალ-დემოკრატები არიან.

ასე რომ არ იყოს ამ პარტიას ააღორძინებდნენ საქართველოში? პარტიას, რომელმაც შეამზადა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის აქტი.

ნოდარ გრიგალაშვილი

26 მაისი — დღე თავისუფლებისა

დღესასწაულის საზეიმო ქრონიკა

პოლიტიკური ბატალიებითა და სოციალური პრობლემებით გადაღლილ ხალხს რომ არ ედღესასწაულება ეს ცხადზე უცხადესია. მაგრამ 26 მაისი ქართველის ცნობიერებაში რიგით დღესასწაულს რომ არ უკავშირდება, ესეც ფაქტია.

ამ დღეს რესპუბლიკის მოედანზე მოსული ხალხი არც პოლიტიკაზე და არც ჩვენ გაჭირვებულ ყოფაზე კამათს არ აპირებდა. თბილისელები გასართობად და დასასვენებლად იყვნენ მოსულნი, მაგრამ ეს მშვენიერი დღე „დამშვენდა“

არასაზეიმო ამბებით

26 მაისს, თუმცა ამისკენ წინა დღეებში გამუდმებით მოუწოდებდა საქართველოს ტელევიზია, ეროვნული შერიგება ვერ შედგა. ექსპრეზიდენტის მომხრეებმა კვლავ გადაწყვიტეს, საკუარი აქცია ჩაეტარებინათ და ასე აღენიშნათ დღესასწაული. თუმცა, არა მარტო იგი. ამავე დღეს თბილისში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი და „ზვიადისტების“ ერთ-ერთ ამოცანას, ეტყობა, მისთვის თავიანთი გაბედულებისა და შემართების დემონსტრირებაც შეადგენდა. როგორც გახსოვთ, 2 სექტემბრის შემდეგ ისინი ბრალს სდებდნენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას „პროვოკაციული“ მიტინგის მოწყობაში (მაშინ თბილისს ამერიკელი კონგრესმენები ესტუმრნენ), თუმცა 26 მაისს იგივე ხერხი თავადაც მშვენივრად გამოიყენეს.

თავდაპირველად, დღის 12 საათზე, ექსპრეზიდენტის 200—300 მომხრე უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბა. მათ, როგორც ეს დღესასწაულს შეეფერებოდა, არც ერთი ფორმიანი მილიციელი არ გაჰკარებია, თუმცა შორიდან „ორგანოების“ ორი მაღალჩინიანი წარმომადგენელი ადევნებდა თვალყურს. იქ დგომის დროს შეკრებილთ ეროვნული დროშების მეტი ხელთ არაფერი სჭერიათ. გაემართნენ ფილარმონიისაკენ.

დემონსტრანტები ფილარმონიასთან შეჩერდნენ და მიტინგი ჩაატარეს, დღის 2 საათზე კი შეძახილებით „საქართველო, საქართველო“ რესპუბლიკის მოედნისკენ გაეშურნენ. წინ წაიმძღვარეს ჯოჰარ დუდაევისა და ზვიად გამსახურდიას სურათები და პლაკატები „ძირს ჯ.ბუში“ და „ამხანაგო შევარდნაძე! შეწყვიტეთ ქართველი ხალხის გენოციდი!“

ამ დროისთვის მათი რიგები რამოდენიმე ასეული კაცისაგან შედგებოდა და სწრაფად მიიწევდა წინ, მაგრამ ასოოდე მეტრის გავლის მეტი ვერ მოახერხა. გამომცდელობა „სამშობლოსთან“ დემონსტრაციას გადაეღობა მილიციელთა და „მხედრიონელთა“ რიგი, რომლებმაც გაფრთხილების გარეშე ჰაერში სროლითა და ხელკეტებით დაიწყეს ხალხის დაშლა.

ასეთ დახვედრას, ეტყობა, ყველაზე მრავალნაცადი დემონსტრანტებიც არ მოელოდნენ. მათი რიგები უცებ შედრკა და დაიშალა. წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ ერთეულებმა სცადეს, მაგრამ მათაც სანანებლად გაუხდათ. ჩვენს თვალწინ ფოტოაპარატიანი კაცი ცდილობდა ფირზე აღებეჭდა ყოველივე, მაგრამ მილიციის თანამშრომლებმა ფირი წააართვეს და მიწაზე დაცემული გამეტებით სცემეს. შემდეგ კომენდატურაში წაყვანაც დაუპირეს და „მაშინა!“ „მაშინაო!“ (მანქანას გულისხმობდნენ)— იყვირეს, მაგრამ ჩინით უფროსი ჩაერია და დასისხლიანებული კაცი გააშვებინა. იქვე ორნი ვიდეოა-

(გაგრძელება მე-8 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

ლიხს იქით და ლიხს აქეთ საქართველო გიყვარდეთ!

მურმან ლებანიძე

დარიგება არ გიყვართ
ბავშვებს, გაგებული მაქვს;
ყველა შეგონებაზე
ხელი აღებული მაქვს;
ეს ერთი კი სხვა არის—
საფიცრად გაიხადეთ:
ლიხს იქით და ლიხს აქეთ
საქართველო გიყვარდეთ!
გახსოვდეთ საქართველო,
თქვენგან სახელს რომ ელის!
გახსოვდეთ მისი ენა,
მისი ხალხი მშრომელი!
წინაპართ საფლავებთან
ქუდები მოიხადეთ...
ლიხს იქით და ლიხს აქეთ
საქართველო გიყვარდეთ!
კახეთის ვენახები,
ქართლის ციხე-კორდები,
მესხეთის ქვიტკირები,
იმერეთის ოდები,
რვეული რომ გაშალოთ,
სახსოვრად ჩაიხატეთ...
ლიხს იქით და ლიხს აქეთ
საქართველო გიყვარდეთ!
თვალი კარგად მოავლეთ
ჭალებს არაგვიანებს,
მოყვარეს რომ ახარებს,
მტერს რომ ანაღვლიანებს;
აწმყოს ჩვენსას დასჯერდით,
წარსული დაიქადეთ...
ლიხს იქით და ლიხს აქეთ
საქართველო გიყვარდეთ!
გახსოვდეთ საქართველო,
თქვენგან სახელს რომ ელის!
გახსოვდეთ მისი ენა,
მისი ხალხი მშრომელი!

არის ასეთი პარტია, არის ასეთი მდივანი!..

როგორ ფიქრობთ, პატივცემულო მკითხველო, რამ გამოიწვია აფხაზეთში მდგომარეობის გამწვავება?

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელიაო. — იტყვით, ალბათ, — იგი საკითხთა, პრობლემათა იმდენად ფართო სპექტრთანაა დაკავშირებული, უცებ, ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი ახსნის მოძებნა ყველას გაუჭირდებაო.

როგორ გეკადრებათ!

ყველას შეიძლება გაუჭირდეს, მაგრამ არა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურ მდივანს ფრიდონ ფერაძეს.

დიახაც რომ უცებ (ყოველგვარი სოციალური-პოლიტიკური-ეთნიკური-"მესამე ძალური" მიზეზების კვლევა-ჩხრეკვის გარეშე) ისეთ ერთმნიშვნელოვან, „დამაკმაყოფილებელ" ახსნას იძლევა ფ.ფერაძე თავის, ანუ სოც.დემოკრატების გაზეთ „ერთობაში" (№3,V,1992 წ.) დაბეჭდილ ქრონიკალურ წერილში „უკანასკნელი წლების ქრონიკა" — თქვენი მოწონებული.

მოდი და ნუ მოგეწონება ესოდენ ორიგინალური მსჯელობა:

„განა პოლიტიკური უმწიფარობისა და უპასუხისმგებლობის გამოვლენა არ არის ეროვნული მოძრაობის დასაწყისშივე ე.წ. შეურიგებელი ოპოზიციის მიერ **ფართოდ აგიტირებული** (ხაზგასმა აქაც და შემდეგაც ჩემია. — ფ.კ.) ლოზუნგები — „გაუქმდეს აფხაზეთის ავტონომია", „გაუქმდეს აჭარის ავტონომია", „გაუმარჯოს ქრისტიანულ საქართველოს". განა აფხაზეთის და აჭარის მოსახლეობის მეხსიერებიდან ამოიშლებოდა ასეთი მოწოდებები და **ბუნებრივ შედეგად** არ მივიღებდით ამ რეგიონებში სიტუაციის უკიდურესად გამწვავებას, რასაც ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყვა...".

როგორც ვხედავთ, რატომღაც ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული აფხაზეთისა და აჭარის რეგიონები, ერთ სიბრტყეზე განიხილება მათში არსებული მდგომარეობა (თურმე ორივეგან ერთნაირად, ამოუშლელად ჩაბეჭდვია მოსახლეობას მეხსიერებაში აღნიშნული მოწოდებები, რომელთაც **ერთნაირად, უკიდურესად** გაუმწავებიათ სიტუაცია). ვერაფერიშვილი, უფრო სწორად, ვერაფერი სასიკეთო პოლიტიკაა ბ-ნო პოლიტიკურო მდივანო, ამ ორი რეგიონის სრულიადაც **არა ერთნაირი** სიტუაციების ასე „ერთ სულ და ერთ ხორცად" დახატვა-წარმოჩენა!

რაც შეეხება ლოზუნგებს.

თუ ფ.ფერაძეს დავუჯერებთ, არ იქნებოდა ლოზუნგები, არ იქნებოდა 1989 წლის ივლისის სისხლისღვრა სოხუმში, არ დაირბეოდა ქართული სკოლა, არ მოხდებოდა რუსთაველის ძეგლის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის შეურაცხყოფა; არ იქნებოდა დღევანდელი საპარლამენტო კრიზისი, საერთოდ, ფეთქებადსაშიში ატმოსფერო აფხაზეთში...

რასაკვირველია, ვერავინ უარყოფს (და არც უარყოფს), რომ ნამდვილად იყო ეს ლოზუნგები, მაგრამ ისინი სრულიადაც არ ყოფილა ისე „კარგად აგიტირებული", როგორც ფ.ფე რაძე ამტკიცებს (საინტერესოა, მაინც როგორ, რითი იყო „აგიტირებული"?! პრესით, რადიოთი თუ ტელევიზიით? ისინი ხომ ფაქტობრივად მიტინგების დონეს არ გასცილებია?!).

ამასთან, სადაც სამართალია, ისიც ხომ უნდა თქმულიყო, როდის, რატომ, რა მიზეზის გამო მოხდა აფხაზეთთან მიმართებაში აღნიშნული ლოზუნგის „აგიტირება"?!

სიმართლე კი ისაა, რომ მას წინ უძღოდა სიტუაციის გამწვავება აფხაზეთში (დიახ, ბ-ნო ფრიდონ, ლოზუნგმა კი არ გაამწვავა სიტუაცია აფხაზეთში, არამედ გამწვავებულმა სიტუციამ წარმოშვა ლოზუნგი), კერძოდ, აფხაზთა მიერ ცნობილი, ანტიქართული „ლიხნის წერილის" მიღება 1989 წლის მარტის ბოლოს.

აი, სწორედ ამის შემდეგ, აპრილის დღეებში თბილისში, მთავრობის სახლთან დაწყებულ მიტინგზე იქნა გამოტანილი ხსენებული მოთხოვნა, რომელიც, თუ გახსოვთ, ბ-ნო ფრიდონ, მალე შეიცვალა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით (არც ისაა უმნიშვნელო ფაქტორი, რომ აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების ლოზუნგი ხელისუფლებისაგან, ოფიციოზისაგან კი არა, ოპოზიციისაგან, უფრო ზუსტად, მისი ერთი ნაწილისაგან, კერძო პირებისაგან მოდიოდა! ხოლო როცა ეს ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვიდა, თუ როგორ „აუქმებდა" აფხაზეთის ავტონომიას, კარგადაა ცნობილი)...

არანაკლებ ორიგინალურ აზრებს ვხვდებით შემდეგ პასაჟში:

„შეურიგებელი ოპოზიციისათვის დამახასიათებელი ჯიუტი რადიკალიზმით წარიმართა 9 აპრილის პათეტიკური, თეატრალიზებული აქცია, რომელსაც უდანაშაულოთა დაღვრილი სისხლი მოჰყვა. არავის აქვს უფლება მასების სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს, თუნდაც ამაღლებული პოლიტიკური მიზნის მიღწევისათვის. იმ შემზარავ ღამეს აქციის ორგანიზატორებს უნდა გამოეჩინათ გამბედაობა და ჩამდგარიყვნენ მათ მიმნდობ ხალხსა და ჯალათ ჯარისკაცებს შორის, საკუთარი სიცოცხლის ფასად აეცილებინათ უდანაშაულოთა სისხლი. 9 აპრილის საშინელი ღამის შემდეგ მათ არც ჰქონდათ მორალური უფლება კვლავ გამოჩენილიყვნენ პოლიტიკურ ასპარეზზე".

როგორც იტყვიან, ავტორის სინდისზე იყოს 9 აპრილის აქციის მხოლოდ ამგვარად, „პათეტიკურ, თეატრალიზებულ აქციად" შერაცხვა...

ფ.ფერაძეს ასევე თავისებურად წარმოუდგენია (და წარმოადგენს) 9 აპრილის ტრაგედიისათვის პასუხისმგებელნი. მისი ლოგიკით, მთავარი დამნაშავენი იმპერია, კომპარტია, კრემლი, რუსის ჯარი კი არა, „ჯიუტი რადიკალიზმი" (არ ვიცი, რა იგულისხმება ამ რადიკალიზმში, საქართველოს დამოუკიდებლობის „რადიკალური" ლოზუნგი ხომ არა?!) და აქციის ორგანიზატორები ყოფილან!

რაც შეეხება ვარაუდს — აქციის ორგანიზატორები რომ ხალხსა და ჯალათ ჯარისკაცებს შორის ჩამდგარიყვნენ, მათი სიცოცხლის „ფასის" წყალობით ხოცვა-ჟლეტა არ მოხდებოდაო, — მართლა ვერ გავიგე, ამას სერიოზულად ვარაუდობს ბ-ნი ფ.ფერაძე?!.

* * *

კითხულობ ყოველივე ამას და არ შეიძლება არ შეგებრალოს ამისთანა პოლიტიკური მდივნის ხელში მყოფი პარტია!..

ფელიქს კოტიაშვილი

შიდა ქართლი: ვითარება სოფელ ნიქოზში

27 მაისისათვის ამ მრავალჭირნახულ სოფელში დაღუპულია გვარდიის მაიორი ნაზარაშვილი, დაჭრილები არიან მილიციის თანამშრომლები — ამირან შალუტაშვილი, ბადრი დევიძე და გია გუდაძე.

განსაკუთრებით ორშაბათიდან დაიძაბა ვითარება, ნიქოზს მასირებულ სარაკეტო დარტყმებს აყენებდნენ მსხვილკალიბრიანი იარაღით. ამ სროლის შედეგად ცეცხლი გაუჩნდა აკაკი მჭედლიძის საცხოვრებელ ბინას, დაიწვა შიგ მოთავსებული ნივთები, საბედნიეროდ ხანძარი მალე ჩააქრეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა; აგრეთვე, რაკეტამ შეანგრია ბეგლარ დევიძის სახლი, დააზიანა და საცხოვრებლად უვარგისი გახდა იგი.

იყო მცდელობა გაეტაცებინათ მსხვილფეხა საქონლის ნახირი, მაგრამ ნიქოზელებმა დროულად მოუსწრეს გამტაცებლებს...

ამ დროისათვის სოფელი წესით და რიგით უნდა ამთავრებდეს საგაზაფხულო სამუშაოებს, მაგრამ ამ დაძაბულობის გამო არაფერია გაკეთებული; ეგ კი არა, სოფლის განაპირას, სადაც ნიქოზელებს ხელი აღარ მიუწვდებათ გასაგები მიზეზების გამო, ოსი ეროვნების პიროვნებებმა მიიტაცეს და ამუშავებენ სოფლის კუთვნილ ნაკვეთებს. და ამ „სიკეთესთან" ერთად, მინდვრის სარწყავ არხში, რომელიც ოსური მხარის გამოვლით ჩამოუდის სოფელს, წყალი გადაკეტილია...

თუმცა ნიქოზელები, მიუხედავად ამ ჭირ-ვარამისა, მაინც არ კარგავენ იმედს, ღონივრად დგანან თავიანთ მამაპაპეულ ფუძეზე, ელიან მთავრობის დახმარებას და რაც მთავარია, ჩვენი ხელისუფლების სამშვიდობო მოლაპარაკებას ოსურ მხარესთან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე...

მწვავე კითხვები და მიუკიბავ-მოუკიბავი პასუხები

(ინტერვიუ ბატონ სოსო ცინცაძესთან)

— გამსახურდიას ხელისუფლების მიერ 2 სექტემბრის მიტინგის დარბევა ოპოზიციის მიერ სამართლიანად იქნა აღქმული როგორც ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა ხელისუფლების მიერ. ისიც ფაქტია, რომ დღევანდელი მთავრობა, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს შენებას აპირებს, არანაკლები სისასტიკით არბევს მიტინგებს. თქვენ, როგორც პოლიტიკური მიმომხილველი, როგორ შეფასებას მისცემდით ამ ფაქტს?

— პირველი და მთავარი — კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ძალადობით არც ერთი მწვავე პრობლემა არ გადაჭრილა. ტრივიალური ჭეშმარიტებაა: ძალადობა მხოლოდ ახალ ძალადობას წარმოშობს. მიტინგების დარბევა ძალადობის ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას ყველაზე დაუშვებელი ფორმაა, მით უფრო ხელისუფლებისათვის, რომელიც პრეტენზიას აცხადებს დემოკრატიულობაზე, ეხება ეს დღევანდელ თუ გუშინდელ მთავრობას. მთავარი მიზანი ის კი არ უნდა იყოს, რომ ხალხს უკმაყოფილების გამოხატვის საშუალება არ მისცე, არამედ ის, რომ თვითონ უკმაყოფილება გაანეიტრალო. ამ მხრივ, როგორც ძველი, ასევე ახალი ხელისუფლება გარკვეულწილად ანალოგიურ სტუაციაში აღმოჩნდა; ვერც ერთმა ვერ შესძლო (ახალმა ჯერჯერობით) კომპრომისებისა და პოლიტიკური დიალოგების გზით დუღილის ზღვარამდე არ მიეყვანა ვნებათაღელვა. არავინ იცის რა ფასად დაუჯდება ახალ ხელისუფლებას მიტინგების დარბევა, ის კი ცნობილია, რად დაუჯდა ძველ რეჟიმს 2 სექტემბრის მომიტინგეებთან გასწორება.

ვერც იმას უარვყოფთ, რომ ტუაციისა და საერთო ვითარების გათვალისწინებით. წინა ხელისუფლებას სწამდა, რომ იგი დემოკრატიული იყო და სასტიკად დაარბია მიტინგი, დღევანდელი ოფიციალურად აღიარებს, რომ იგი არც დემოკრატიული გზითაა ქვეყნის მმართველობაში მოსული, არც დემოკრატიულ ინსტიტუტებს ეყრდნობა და ისიც ასევე უსწორდება მომიტინგეებს. მართლაც როგორი შეფასება შეიძლება მიეცეს ამ მწარე რეალობას? ის, რომ ძალადობა და სისასტიკე მიუღებელია, სადავო არ უნდა იყოს, მაგრამ რეალისტი ქართველისათვის, იქნება ის მიტინგების მომხრე თუ მოწინააღმდეგე, არც ის უნდა იყოს გაუგებარი, რომ ხელისუფლების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს სტაბილურობას დედაქალაქში. კიდევ ერთ დეტალს ჩავუფიქრდეთ — დღეს, რომ თბილისში მიტინგები აკრძალულია და მომიტინგეებს ზოგჯერ სასტიკად უსწორდებიან, ეს არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას. მიუხედავად ამისა, არა თუ უცხოეთის არც ერთმა სახელმწიფომ ან ავტორიტეტულმა ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციამ არ დაგმო დღევანდელი ხელისუფლება, არამედ ფორსირებული ტემპებით მიმდინარეობს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესი და სულ მალე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრიც გავხდებით. დიდია ყოველივე ამაში ბატონ ე.შევარდნაძის დამსახურება, მაგრამ არა მგონია ეს იყოს ერთადერთი ფაქტორი. დიდ პოლიტიკაში პიროვნება ყოველთვის კონკრეტულ რეჟიმთან, წყობასთან, პრიორიტეტებთან, პრინციპებთან, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან კავშირში ფასდება. პირუთვნელმა ისტორიამ განსაჯოს დროის გადასახედიდან თუ რამდენად დიქტატორული იყო ძველი რეჟიმი და რამდენად დემოკრატიული ახალი რეჟიმის კურსი (ჯერ მხოლოდ კურსზე და ორიენტირებაზე თუ შეიძლება მსჯელობა), მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებრიობა მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოში დემოკრატიას გაეხსნა გზა და პერსპექტივის რეალობად ქცევისათვის სტაბილურობაა აუცილებელი.

— აგერ უკვე მეხუთე თვეა თბილისში კომენდანტის საათია გამოცხადებული. ფაქტია, რომ ეს ღონისძიება ვერ ამართლებს იმ დანიშნულებას, რისთვისაც თითქოს იქნა შემოღებული: უზრუნველეყო წესრიგი, სიმშვიდე. პირიქით — იმატა დანაშაულობამ, გაუარესდა კრიმინოგენური ვითარება, მანც იმართება მიტინგები, დემონსტრაციები. ასეთ ვითარებაში უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ფორმალურად გაგვეუქმებინა ეს „არამომუშავე" საათი. სხვა თუ არაფერი, არ უნდა დაგვიწყდეს მისი საერთაშორისო ასპექტი — კომენდანტის საათი დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის პრესტიჟს. არის მეორე აზრიც მისი საჭიროების შესახებ. ერთის სიტყვით, გადაწყვეტით ჩვენ ვერ ვიტყვით, ამიტომაც გეკითხებით თქვენ — გვჭირდება თუ არა კომენდანტის საათი?

— არ ვიცი ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, მაგრამ ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს არავითარი გამოცდილება არა, აქვთ არც კომენდანტის საათის ეფექტურად გატარებისა და არც არასანქციონირებულ მიტინგებთან ბრძოლის. ვერავინ გეტყვით თუ რა სიტუაცია იქნებოდა ქალაქში კომენდანტის საათის გარეშე, მაგრამ რაც კომენდანტის საათის სინამდვილეში ხდება, ყველანი კარგად ვხედავთ. ამას წინათ ერთი ხანდაზმული ქალბატონი მიყვებოდა: ჩვენმა მატარებელმა ულმერთოდ დაგვიანა და მე და ჩემი მეუღლე იძულებული გავხდით ღამის ორ საათზე ვაგზლიდან ვაკეში ფეხით ამოვსულიყავით და ეს ამოდენა გზა ისე გამოვიარეთ არავინ შეგვხვედრიაო. ესე იგი, ქურდსა და ყაჩაღსაც თავისუფლად შეუძლია ისეირნოს ქალაქში ღამით? იქნებ ამიტომაც იყო, რომ უკანასკნელ დღეებში მარტო ჩემს სადარბაზოში ორი ბინა გაიძარცვა კომენდანტის საათის დროს? ასეთი ფაქტების მოყვანა თვითეულ ჩვენგანს შეუძლია, ხოლო ჩვენზე მეტის კი თვითონ მათ, ვისაც კომენდანტის საათის ეფექტურობა ევალებათ. ეგებ მართლაც საცდელად გაგვეუქმებინა კომენდანტის საათი? თუ ვითარება გაუარესდება, მაშინ მისი აღდგენაც გამართლებული იქნება.

— ხედავთ თუ არა სიმართლეს, ან სიმართლის რაღაც ნაწილს წინა ხელისუფლების მომხრეთა პოზიციაში. ნუთუ ყოვლად ულოგიკო და უსაფუძვლოა მათი



ვავებით ნებისმიერი ხელისუფლებისადმი), მაგრამ მომავალი არჩევნებისადმი ისე დიდია საერთაშორისო ინტერესები, თვითონ ხელისუფლებაც ისეა დაინტერესებული საერთაშორისო დემოკრატიულ ავტორიტეტში, იმდენი უცხოელი მეთვალყურე დაესწრება არჩევნებს, ადგილებზეც ისეთი ვითარება იქნება, რომ ძნელად თუ დარჩება შეუმჩნეველი ნებისმიერი დარღვევა.

— რას დაარქმევდით დეკემბერ-იანვრის მოვლენებს; დემოკრატიულ რევოლუციას, სახალხო აჯანყებას, სამხედრო გადატრიალებას თუ რას. გთხოვთ იმსჯელოთ ანალოგიურ მოვლენებზე სხვა ქვეყნებში ან საქართველოს ისტორიიდან, თუ გვაქვს შესაბამის მოვლენებზე მსჯელობის საფუძველი?

— გულახდილ პასუხს ნამდვილად არ გავურბივარ, მაგრამ ხსენებული მოვლენების ცალსახა შეფასება არამართებულია; ცალსახად ეს არც სახალხო აჯანყება იყო და არც სამხედრო გადატრიალება. პირველი იმიტომ არ იყო, რომ ბრძოლებში მონაწილეობას მოსახლეობის ძალზედ მცირე ნაწილი ღებულობდა. კლასიკური სამხედრო გადატრიალება (პუტჩი) იმიტომ არ იყო, რომ ჯერ ერთი ხანგრძლივი და დამანგრეველი იყო და მეორეც საამისოდ ფართო პოლიტიკური ბაზა გააჩნდა შეიარაღებულ ოპოზიციას. გავიხსენოთ სამხედრო გადატრიალებები საბერძნეთში, ჩილეში, არგენტინაში, აფრიკის ქვეყნებში; უმეტეს შემთხვევაში ყველგან ყველაფერი რამდენიმე საათში მთავრდებოდა მინიმალური მსხვერპლითა და ნგრევით. შეთქმულთა პოლიტიკური ბაზაც უმთავრესად მხოლოდ სამხედრო წრეებით შემოიფარგლებოდა. ძველი რეჟიმის ვერც მომხრეები და ვერც მოწინააღმდეგეები ვერ უარყოფენ, რომ თბილისის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უკეთეს შემთხვევაში დაინტერესებული მაყურებლის როლით დაკმაყოფილდა იმ ტრაგიკულ დღეებში. ვერც რაიონებიდან მიიღო ხელისუფლებამ ქმედითი სამხედრო დახმარება, რაც შეიძლება გადამწყვეტი გამხდარიყო.

გარდა ამისა, ჩემი აზრით საბოლოო შეფასების და დასკვნების გამოტანის დრო ჯერ არ დამდგარა. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ჩვენს ხელთ არ არის სრული და ობიექტური ინფორმაცია. დიდი მნიშვნელობა ექნება იმას თუ საბოლოოდ რა ფორმასა და ხასიათს მიიღებს დღევანდელი რეჟიმი, როგორ ჩამოყალიბდება იგი, ხელთ რა შეგვრჩება.

— თქვენი აზრით რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ რუსეთი, რომელმაც ფაქტიურად ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა სცნო, თავს იკავებს საქართველოს ცნობისაგან.

— მართლაცდა თითქოს პარადოქსია; თბილისში იყო კოზირევი, საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელებთან მისი საუბრის დეტალები ჩვენთვის უცნობია, ფაქტი კი ის არის, რომ მსოფლიოს ყველაზე პატარა სახელმწიფოსთან გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, ჩვენს უდიდეს მეზობელთან კი არა. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ეს თვითონ რუსეთის საშინაო-პოლიტიკური ვითარებით ახსნა. ეს ერთი მომენტია; სამწუხაროდ რუსეთის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში, დაწყებული დემოკრატებით და დამთავრებული ეგრეთ წოდებული ნაციონალ-პატრიოტებით, უკანასკნელ პერიოდში გაძლიერდა ანტი-ქართული სინდრომი. შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ეს უკვე დომინირებს რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე, მაგრამ კვლავ „ძალაშია" ა.სახაროვის ცნობილი ფორმულა „მცირე იმპერიაზე". გარდა იმისა, რომ განსვენებულ ა.სახაროვს, დღეს ბევრს ცოცხალ პოლიტიკოსზე მეტი გავლენა აქვს, პრეზიდენტ ელცინზე უახლოეს გარემოცვაზე (ალბათ ეს სტარაოვოტოვა არა ყოფილ ხელისუფლებაში) ბევრი ავიმსოსურნე გეყოფა. როგორც სჩანს, მათთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას თუ ვინ იქნება ხელისუფლების სათავეში საქართველოში. რატომღაც მგონია, რომ თუ შევიდოდა გამსახურდია ახალ თანამეგობრობაში („სნგ"-ში) რუსეთი სცნობდა საქართველოს და დღესაც ძალაში რჩება ეს პირობა. მეორე: რუსეთი სულაც არ აპირებს კავკასიიდან „წასვლას" და არც იოლად დაუთმობს ვისმეს როგორც გავლენის სფეროს. არ მოგვატყუოს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ძალზედ სიმპატიურმა და მუდამ მეგობრულად მომღიმარმა გამომეტყველებამ; ცნობა, რუსეთის, როგორც მსოფლიოს დიდი სახელმწიფოს სიკვდილის შესახებ მართლაც, რომ „გაზვიადებულია". ცდება, ვინც უკვე „ჩამოწერა" რუსეთი. ის ახლა იწყებს თავის თამაშს, საკუთარი სახელით. დღეს რუსეთის მთავარი საზრუნავი რეგიონში ჩრდილოეთ კავკასიაა (სომხეთ-აზერბაიჯანის ომი ცალკე პრობლემაა), სადაც საერთო ანტი-რუსულ ხორში პრორუსულ დისონანსად გაისმის ჩრდილოეთ-ოსეთის ხმა. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება და შიდა ქართლში საერთო ვითარების გამწვავება მოულოდნელ საჩუქრად იქცა რუსეთის დიპლომატიისათვის. საბუთი არა მაქვს და ვერც დავამტკიცებ, რომ რუსეთის გარკვეული წრეების მიერ იყო ინსპირირებული რუსეთისაკენ ოსების ასეთი „სპონტანური" ლტოლვა, მაგრამ ეს რომ მომგებიან კარტად იქცა რუს ნაციონალ-პატრიოტთა ხელში, ცხადია. ამიტომაც იყო, რომ რუსმა „დერკავნიკებმა" ლამის გორთან დაიწყეს რუსეთის „სამხრეთი საზღვრების" დაცვა. რაც შეეხება მოსკოვს, იგი მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო: ოფიციალურად დუმილი არჩია, დეპუტატთა ყრილობაზე კი რეგლამენტის გარეშე დაუთმო ტრიბუნა „ქართული იმპერიალიზმისაგან გაწამებულ" ოს ორატორებს. გულაჩუყებულმა დეპუტატებმაც არ დააყოვნეს და მედგრად შეუტიეს „პატარა იმპერიას".

არა მგონია დიდად ვცდებოდე თუ ვიტყვი, რომ საქართველოსთან ურთიერთობაში, ელცინი ძირითადად გორბაჩოვის კურსს აგრძელებს. საქართველოს ცნობას კიდევ იმიტომ არ ჩქარობს რუსეთი, რომ ელის როგორ ხასიათს მიიღებს მოვლენათა განვითარება შიდა ქართლში და აფხაზეთში. არ ვიტყვი მღვრიე წყალში თევზის ჭერის, მაგრამ მისთვის სასარგებლო მანევრირებისათვის რომ ხელ-ფეხი მეტადა აქვს გახსნილი, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა. როცა დიპლომატიური ურთიერთობითა ხარ დაკავშირებული სახელმწიფოსთან, მაშინ მეტი თავშეკავებულობა და ლოიალობა მოგეთხოვება მის მიმართ. ჩვენ რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გვქონოდა, მოსკოვს ფორმალურად მაინც უნდა ეგო პასუხი თავისი მოქალაქეების შეიარაღებულ შ[illegible] [illegible]ეგერენული სახელმწ[illegible]ტორიაზე, როდესაც კაზაკები და საეჭვო „მოხალისეები" შიდა ქართლში გამოჩნდნენ. ერთი სიტყვით, როგორც სჩანს, მოსკოვში სთვლიან, რომ საქართველო მაინც „არსად წავა", ადრე თუ გვიან დიპლომატიურ ურთიერთობასაც დაამყარებენ, დღეს კი ასე უჯობს, **როგორც მინიმუმი, ოსებს მაინც არ გაანაწყენებენ.**

ესაუბრა
თამთა სიამაშვილი

დღევანდელი მთავრობის მხარეზეა ასეთი ფაქტი: რამდენადაც მახსოვს გასული წლის სექტემბერში თბილისში არ მოქმედებდა კომენდანტის საათი და მიტინგებსაც გაცილებით მეტი ინტენსიურობით ხელისუფლების მომხრეები ატარებდნენ ხელისუფლების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით. იანვრის შემდეგ კი თბილისში ფაქტიურად ხელისუფლების მომხრეთა არც ერთი მიტინგი არ ჩატარებულა. სამართალმცოდნე არა ვარ და ჩემ თავზე ვერ ავიღებ კატეგორიული მსჯელობის პასუხისმგებლობას იმის თაობაზე თუ რამდენად სამართლიანია დღევანდელ ვითარებაში თბილისში მიტინგებისა და სხვა თავყრილობების აკრძალვა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ეს კანონი უფლებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს აღკვეთოს ასეთი აქციები. თუმცა ისიც ფაქტია, რომ სისასტიკე ნებისმიერ ვითარებაშია დაუშვებელი, მითუმეტეს თუ სისასტიკის ობიექტს ქალები წარმოადგენენ, რაც არ უნდა გამომწვევად უნდა იქცეოდნენ უკანასკნელნი.

თუ უფრო ფართოდ განვიხილავთ საკითხს და მართლაც „მიუკიბავ — მოუკიბავად" ვიმსჯელებთ, პირდაპირ უნდა ითქვას — ორივე მხარის მთავარი დილემა სტაბილურობაა; მიტინგების მოწინააღმდეგე ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს უზრუნველყოს სტაბილურობა და იგი მიიჩნევს (არც თუ უსაფუძვლოდ), რომ დღეს მიტინგები ხელს უშლის სტაბილურობას, ხოლო მეორე მხარე კი დაუფარავად აცხადებს, რომ იგი სწორედ დესტაბილიზაციის მიზნით აწყობს მიტინგებს. სტაბილურობა კი, ნებისმიერი ხელისუფლებისათვის ჟანგბადზე უფრო აუცილებელია, ამის გარეშე იგი განწირულია. ამიტომაც არის, რომ როგორც კი ხელისუფლება აღმოჩნდება შექსპირისეული „ყოფნა-არყოფნის" მარადიული არჩევანის პირისპირ, მისთვის მიუღებელია ჰამლეტის ეჭვები და ჭოჭმანი, იგი სწრაფად ღებულობს გადაწყვეტილებას, კონკრეტული სიტყვა-საქციელი?

—თუ ნებას დამრთავთ, ერთმანეთისაგან გავმიჯნავ პოზიციასა და საქციელს, ანუ ქმედებას; პოზიციაში არ გამოვრიცხავ სიმართლეს. პოლიტიკური პლურალიზმი სწორედ იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერ ადამიანს თუ ადამიანთა ჯგუფს, პოლიტიკურ პარტიას, სრული უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი პოზიცია, პლატფორმა, თუ გნებავთ პროგრამა. დაუშვებელია იგივე წინა ხელისუფლების მომხრეთა დევნა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი ვთქვათ ყოფილი პრეზიდენტის დაბრუნებასა და მისი ხელისუფლების აღდგენას მოითხოვენ. მათ არა მარტო ამის მოთხოვნის უფლება, არამედ ამისათვის ბრძოლის უფლებაცა აქვთ, მაგრამ რა მეთოდებით, როგორი საქციელით? აი, ეს არის მთავარი, რამაც შეიძლება არალოგიკურად აქციოს მთელი ბრძოლა. არალოგიკურად იმიტომ, რომ დღეს ყოფილი ხელისუფლების ის მომხრენი, რომელნიც ხიდებს აფეთქებენ, ლიანდაგს ყრიან თუ შენობებს წვავენ, მეტი რომ არა ვთქვა, დათვურ სამსახურს უწევენ თვით იდეას, რომლისთვისაც მათი აზრით იბრძვიან. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა? მაჰატმა განდი საფლავში გადაბრუნდება თუ გაიგებს, რომ იმის მოძღვრებას უკავშირებენ იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება. არალოგიკურად მეჩვენება მათი საქციელი იმიტომაც, რომ ცხვირწინ არჩევნებია და დღევანდელი ხელისუფლებისათვის შეიძლება უფრო საშიში სწორედ ცივილიზებული პოლიტიკური ბრძოლა ყოფილიყო. საერთაშორისო პრაქტიკიდან ვერ ვიხსენებ მეორე შემთხვევას, რომ პოლიტიკური პარტია თუ საერთოდ პოლიტიკური ძალა დარწმუნებული იყოს ხალხის მხარდაჭერაში და შეგნებულად აყენებდეს თავს კანონგარეშე არჩევნების წინ. ის ხომ უნიკალურ შანს კარგავს. ბუნებრივია მათი სკეპტიციზმი — იქნება კი თავისუფალი და პატიოსანი არჩევნები? მეც გამაჩნია გარკვეულწილად სკეპტიციზმი (მათგან განსხვავებით ნებისმიერი ხელისუფლებისადმი), მაგრამ მომავალი არჩევნებისადმი ისე დიდია საერთაშორისო ინტერესები, თვითონ ხელისუფლებაც ისეა დაინტერესებული საერთაშორისო დემოკრატიულ ავტორიტეტში, იმდენი უცხოელი მეთვალყურე დაესწრება არჩევნებს, ადგილებზეც ისეთი ვითარება იქნება, რომ ძნელად თუ დარჩება შეუმჩნეველი ნებისმიერი დარღვევა.

— რას დაარქმევდით დეკემბერ-იანვრის მოვლენებს; დემოკრატიულ რევოლუციას, სახალხო აჯანყებას, სამხედრო გადატრიალებას თუ რას. გთხოვთ იმსჯელოთ ანალოგიურ მოვლენებზე სხვა ქვეყნებში ან საქართველოს ისტორიიდან, თუ გვაქვს შესაბამის მოვლენებზე მსჯელობის საფუძველი?

— გულახდილ პასუხს ნამდვილად არ გავურბივარ, მაგრამ ხსენებული მოვლენების ცალსახა შეფასება არამართებულია; ცალსახად ეს არც სახალხო აჯანყება იყო და არც სამხედრო გადატრიალება. პირველი იმიტომ არ იყო, რომ ბრძოლებში მონაწილეობას მოსახლეობის ძალზედ მცირე ნაწილი ღებულობდა. კლასიკური სამხედრო გადატრიალება (პუტჩი) იმიტომ არ იყო, რომ ჯერ ერთი ხანგრძლივი და დამანგრეველი იყო და მეორეც საამისოდ ფართო პოლიტიკური ბაზა გააჩნდა შეიარაღებულ ოპოზიციას. გავიხსენოთ სამხედრო გადატრიალებები საბერძნეთში, ჩილეში, არგენტინაში, აფრიკის ქვეყნებში; უმეტეს შემთხვევაში ყველგან ყველაფერი რამდენიმე საათში მთავრდებოდა მინიმალური მსხვერპლითა და ნგრევით. შეთქმულთა პოლიტიკური ბაზაც უმთავრესად მხოლოდ სამხედრო წრეებით შემოიფარგლებოდა. ძველი რეჟიმის ვერც მომხრეები და ვერც მოწინააღმდეგეები ვერ უარყოფენ, რომ თბილისის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უკეთეს შემთხვევაში დაინტერესებული მაყურებლის როლით დაკმაყოფილდა იმ ტრაგიკულ დღეებში. ვერც რაიონებიდან მიიღო ხელისუფლებამ ქმედითი სამხედრო დახმარება, რაც შეიძლება გადამწყვეტი გამხდარიყო.

გარდა ამისა, ჩემი აზრით საბოლოო შეფასების და დასკვნების გამოტანის დრო ჯერ არ დამდგარა. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ჩვენს ხელთ არ არის სრული და ობიექტური ინფორმაცია. დიდი მნიშვნელობა ექნება იმას თუ საბოლოოდ რა ფორმასა და ხასიათს მიიღებს დღევანდელი რეჟიმი, როგორ ჩამოყალიბდება იგი, ხელთ რა შეგვრჩება.

— თქვენი აზრით რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ რუსეთი, რომელმაც ფაქტიურად ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა სცნო, თავს იკავებს საქართველოს ცნობისაგან.

— მართლაცდა თითქოს პარადოქსია; თბილისში იყო კოზირევი, საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელებთან მისი საუბრის დეტალები ჩვენთვის უცნობია, ფაქტი კი ის არის, რომ მსოფლიოს ყველაზე პატარა სახელმწიფოსთან გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, ჩვენს უდიდეს მეზობელთან კი არა. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ეს თვითონ რუსეთის საშინაო-პოლიტიკური ვითარებით ახსნა. ეს ერთი მომენტია; სამწუხაროდ რუსეთის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში, დაწყებული დემოკრატებით და დამთავრებული ეგრეთ წოდებული ნაციონალ-პატრიოტებით, უკანასკნელ პერიოდში გაძლიერდა ანტი-ქართული სინდრომი. შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ეს უკვე დომინირებს რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე, მაგრამ კვლავ „ძალაშია" ა.სახაროვის ცნობილი ფორმულა „მცირე იმპერიაზე". გარდა იმისა, რომ განსვენებულ ა.სახაროვს, დღეს ბევრს ცოცხალ პოლიტიკოსზე მეტი

ცხრა შეკითხვის ცხრა პასუხი

(ინტერვიუ ბატონ რევაზ ჯაფარიძესთან)

— რას იტყვის მწერალი რევაზ ჯაფარიძე ჩვენი ერის დღევანდელ ყოფაზე, ჩვენს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ მდგომარეობაზე?

— ახალსა და გამორჩეულს ვერაფერს გეტყვით. ყოფის სიმძიმეს, მატერიალურ სიდუხჭირეს ახლა თავისი მარჯვენის შემყურე ყოველი პატიოსანი ადამიანი ერთნაირად გრძნობს, რომელ საზოგადოებრივ ფენასაც არ უნდა განეკუთვნებოდეს იგი.

ჩვენ ხელი შევუშვით ბერკეტებს და პანიკით მოცულნი

ღია ზღვაში უნიჩბებოდ მივცურავთ. არა მგონია, ეს ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა ფატალური აუცილებლობით იყოს ნაკარნახევი და თუნდაც ფასების გათავისუფლება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, რომელთა ანაბანა ცოტა ვინმეს თუ გაეგება, არავითარ მართვას, რეგულირებას არ ექვემდებარებოდეს. ვერ ვბედავ თქმას, არავინ არაფერი იცის-მეთქი, ან არ უნდა, აუტკივარი თავი აიტკიოს, თუმცა შექმნილი საზოგადოებრივი ვითარება საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, სწორედ ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს.

ეკონომიკის მართვის ბერკეტების ხელიდან გაგდება და ერის ყოველდღიური ცხოვრების წესის თვითდინებაზე მიშვება საზოგადოებას კატასტროფისაკენ მიაქანებს. ჩემებრ უბირი კაცისთვისაც კი ძნელი დასაჯერებელია, თითქოს შეუძლებელი იყოს ამ სტიქიური სრბოლის შეჩერება!

ეს ხომ იგივეა, რაც ე.წ. უნაპირო დემოკრატიის პარპაში საშინაო პოლიტიკაში!

უნაპირო-მეთქი, იმიტომ ვამბობ და სიტყვა პარპაშსაც იმისთვის ვხმარობ, რომ „უნაპირო დემოკრატია“ არ არსებობს, ის ანარქიაა! ნამდვილ დემოკრატიას მართვა, საზღვრებში ჩაყენება სჭირდება, რათა საზოგადოება ღუზამოწყვეტილ გემად არ გადაიქცეს და უგზოუკვლოდ ხეტიალისას კლდეებს არ შეასკდეს.

დალაგებულ ცივილიზებულ საზოგადოებას ყოველთვის ახსოვს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოც სახელმწიფოა, სახელმწიფო კი, თავისი ატრიბუტებითურთ — ჯარით, პოლიციით, სასამართლოთი, სამართალდამცავი ორგანოებით ძალმომრეობის იარაღია, ნუ შეგვაშინებს ეს სიტყვა, იგი პირველად არ გვესმის, თუნდაც უმრავლესობისა უმცირესობის დასათრგუნავად გონივრულობის უგუნურობაზე, სამართლიანობის უსამართლობაზე გასამარჯვებლად, მაგრამ მაინც ძალმომრეობის იარაღი.

გავიხსენოთ თუნდაც სულ უკანასკნელი ამბები, ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ დატრიალდა. უდიდესი დემოკრატიული სახელმწიფოს პრეზიდენტ ბუშს, ისიც გახურებული საარჩევნო კომპანიის დროს, როცა თეთრ სახლში მისი დარჩენა-არდარჩენა ბეწვზე ჰკიდია, როდესაც ცალი ხელით დიდძალი ასიგნება გასცა დესტაბილიზაციით ქვეყნისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, მეორე ხელით საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ ასობით თანამემამულეს ციხის კარისაკენ მიუთითა.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამით ამერიკული დემოკრატიის პრინციპები არ შებღალულა. პირიქით, ყოველივე გაკეთდა სწორედ მისი სახელით, მის დასაცავად და მის განსამტკიცებლად!

თუ ვერ ვიცავთ ჩვენს სიმართლეს, თუ ვერ გადაგვწყვეტია, ასე მოვიქცეთ თუ ისე, მაშასადამე, ბოლომდე არ გვწამს იგი და მხოლოდ პოლიტიკურ თამაშს ვეწევით, ხოლო თუ მართლა გვწამს, ვერავინ შეგვიშლის ხელს, ვიყოთ ბოლომდე გულახდილნი, პრინციპულნი და დესტაბილიზაციას ისეთივე არაორაზროვანი ომი გამოვუცხადოთ, როგორიც ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გამოუცხადა!

დემაგოგები, ვიცი, აყვირდებიან და ტელეფონის ზარით ამიკლებენ, როგორ, მწერალი ისედაც სისხლიან ხელისუფლებას რეპრესიებისაკენ მოუწოდებო? არა, ბატონებო, პირიქით, მე ხელისუფლებას და ყოველ მამულიშვილ ქართველს, საქართველოს ყოველ მოქალაქეს მოვუწოდებ სამშობლოს გადარჩენისაკენ, იმათ უცერემონიო ალაგმვისაკენ, ვინც ანგრევს ხიდებს, აჩერებს და ძარცვავს მატარებლებს, ვინც მილიარდობით ზარალს აყენებს უამისოდაც გაღარიბებულ, მშიერ ქვეყანას!

ნუთუ ეს ვისთვისმე სამარცხვინოა? მაშინ საშველი მართლაც აღარ ყოფილა! სხვა გზას, სხვა ხსნას ერის ისტორიის ამ უაღრესად დრამატულ მომენტში შე ვერა ვხედავ და მომიტევონ, თუ კუკუდამალობიას თამაშს სიმართლის პირუთვნელად თქმას ვამჯობინებ!

— როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია ვითარების ხელახალი დესტაბილიზაცია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და როგორ უნდა მოვაგვაროთ მათთან ურთიერთობა?

— უპირველესი მიზეზი ამისა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ პოლიტიკური მდგომარეობის არაზუსტი პროგნოზირება და აქედან გამომდინარე ნაგვიანევი რეგულირების მცდელობა გახლავთ.

ათეული წლების განმავლობაში, როგორც ერთ ისე მეორე რეგიონში ჩვენ უგულვებელყოფილი გვქონდა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებები, რამაც ეს უკანასკნელი რეგიონის მეორეხარისხოვან მცხოვრებთა მდგომარეობაში ჩააყენა. ჩვენ, ვითარცა ლენინური ხალხთა მეგობრობის ტრფიალნი და მიმდევარნი, ვურიგდებოდით ავტონომიურ წარმონაქმნებში ძირძველი ქართველი მოსახლეობის აშკარა ჩაგვრას, დამცირებას, ეროვნულ შეურაცხყოფას და, ნაციონალიზმი არავინ დაგვწამოსო, მოძალადე ეროვნული უმცირესობის მიმართ ყოვლად გაუმართლებელ პოლიტიკურ დათმობებზე მივდიოდით. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა თავს იწონებდა მოჩვენებითი დემოკრატიულობით, ავტონომიურ წარმონაქმნებში ადგილობრივი არაქართველი კადრების დაწინაურებით და მათი დანაშაულებრივი პარტიკულარიზმის წაყრუებით, რაც მკვიდრი ქართველი მოსახლეობის პოლიტიკური და ეკონომიკური უუფლებობის ხარჯზე ხდებოდა.

ორივე რეგიონში გაბატონებულ არაქართველ ძალებს, რომლებიც ისე გათავხედდნენ, რომ თავიანთ უკეთურ ზრახვებს აღარც კი მალავდნენ, იმთავითვე მხარში ამოუდგა რუსეთის მმართველი წრეების იმპერიალისტური ამბიცია, რომელიც ყოველ ახალ ისტორიულ ვითარებაში სულ ახალ-ახალი სახით გვევლინება.

ორივე რეგიონის ქართველი მოსახლეობის პოლიტიკურმა პასიურობამ, ცენტრიდან, რესპუბლიკის დედაქალაქიდან რომ მომდინარეობდა, განაპირობა მმართველობის უმაღლესი ორგანოების არადემოკრატიული, ადმინისტრაციულ ძალმომრეობაზე დაფუძნებული არჩევნები. პარტიული ნიშნის მიხედვით ქართული მოსახლეობის დაქსაქსვამ ხელ-ფეხი მთლიანად გაუხსნა და შეუზღუდავი თავისუფლება მიანიჭა ანტიქართულ ძალებს. სრულ პოლიტიკურ უგუნურობაზე აშენებული პარტიული ამბიციები, ავადმყოფური აკვიატებები და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის წინდაუხედავი მოთხოვნები და ულტიმატუმები იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ აფხაზეთში მცხოვრებმა მეოთხედმა მილიონმა ქართველმა თავისი პოზიციის გამოსამუშავებლად ეროვნული ყრილობის მოწვევაც კი ვერ მოახერხა. აღმოჩნდა ათასობით ადამიანი, ეროვნებით ქართველი, ვინც შავი თეთრისაგან ვერ გაარჩია, ბრმად აჰყვა გროზნოელ „ემიგრანტთა“ ღვთის გამარისხებელ მოწოდებებს და წყალი საკუთარი სამშობლოს დაუძინებელი მტრების წისქვილზე დაასხა.

საღმა აზრმა, მადლობა უფალს, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენელთა თავგამოდებით, მაინც გაიმარჯვა, ეროვნული ყრილობა შესდგა და აფხაზეთის მთელი შეგნებული მოსახლეობის მიმართ რადიკალური ხასიათის დადგენილებაც მიიღო, მაგრამ ამასობაში არც უზურპატორებს ეძინათ. მათ ყოველ ღონეს მიმართეს, რათა ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველობის პარალიზება მოეხდინათ და თავიდან აეცილებინათ მთავრობის საწინააღმდეგო ხალხმრავალი მიტინგი სოხუმში, რასაც ნაწილობრივ კიდევაც მიაღწიეს.

ხელახალ არეულობებს, რომ ჭვრეტდეს დღესავით ნათელ მოვლენებს და სადავოდ არ თვლიდეს იმას, რაც დიდი ხანია სადავო არაა.

— როგორია თქვენი პროგნოზი, როგორ სახეს მიიღებს მოვლენები აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში?

— ჩემი პროგნოზი ოპტიმისტურია. მიუხედავად გროზნოში დაბანაკებული ემიგრაციის დანაშაულებრივი მცდელობისა, იგი გზასაცდენილ აფხაზ სეპარატისტებთან ერთად სრულიად საქართველოს, მისი ტერიტორიული და პოლიტიკური მთლიანობის წინააღმდეგ გამოეყენებინა, აფხაზეთის ქართველობამ ბოლოს და ბოლოს გამოიღვიძა და, ადგილობრივი ინტელიგენციის მეთაურობით სიმართლისათვის აქტიური ბრძოლის გზას დაადგა.

არძინბას ფაშისტურ ხროვას სამარცხვინო კრახი მოელის, თუმცა არც იმის ანგარიშში ჩაუგდებლობა შეიძლება, რომ ეს ვაჟბატონი, მსგავსად მისი გროზნოელი თანამზრახველისა, ყოველ უკადრის საშუალებას მიმართავს, რათა პოლიტიკური ხომალდის კაპიტნობა შეინარჩუნოს. არ გაგიკვირდეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მანაც თავის მშობელ ხალხს ტყვია დაუშინოს. რას იზამ, ხდება ხოლმე, ასე იცის კარიერის, სხვათა დაქვემდებარების ლაგამაწყვეტილმა სიყვარულმა!

სხვა მდგომარეობაა ყოფილ სამხრეთ ოსეთში. აქ, ალბათ, ვერ ავცდებით შეიარაღებულ ბანდებთან სამხედრო დაპირისპირებას, ოსები იქნებიან ისინი, თუ ვაიქართველები.

— ბატონო რევაზ, ამბობენ, რომ დღეს ტოტალურადაა დაცემული ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის ზნეობა და ამის დასამტკიცებლად მაგალითების მოხმობა არც გაჭირდება — ადამიანთა შოტაცება გამოსყიდვის მიზნით, მიცვალებულის მოპარვა სასაფლაოდან, წიგნების დახევა-დაწვა, გაუგონარი სადიზმით ჩადენილი მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გაძარცვა ქვარელში და მისივე ობელისკის დაცხრილვა წიწა-

მურთან, რომლის შესახებაც ახლახანს გვამცნო ჩვენმა ლიტერატურულმა გაზეთმა. როგორ გგონიათ, დღეს დავეცით ასე თუ ჩვენი დაცემა დიდხანს, ნაბიჯ-ნაბიჯ მზადდებოდა, თანაც ჩვენივე ხელისშეწყობით?

— ერის ზნეობა ტოტალურად დაცემული რომ არ იყოს, მე ღრმად მწამს, საქართველოს, ქართველ ხალხს ის ძნელად გადასაჭრელი პრობლემებიც არ ექნებოდა, რომელიც დღეს აქვს. ქართველი ერი არასოდეს არ ყოფილა ასე დაქსაქსული, დახურდავებული, ასე ადვილად მოსარევი და დასამონებელი, როგორც დღესაა. მეოცე საუკუნის ბოლოს, როდესაც კაცობრიობის აყვავებამ უმაღლეს ფარდებს მიაღწია, როცა ყოველი კულტურული ერი თავისი დემოკრატიული მიღწევებით ამაყობს, მას კერპთაყვანისმცემლობის აშკარა ნიშნები აღმოჩნდა, იმ კერპთაყვანისმცემლობისა, რომელსაც კაცობრიობამ ბრძოლა ჯერ კიდევ ბიბლიური მოსე წინასწარმეტყველის დროს გამოუცხადა. კერპთაყვანისმცემლობის ბაცილამ დაშალა ერი, ერთი ამაღლებული მიზნისათვის რომ იბრძოდა 9 აპრილის ბარიკადებზე, ერთმანეთს დააშორა და დააპირისპირა ერთ სანგარში მდგომი ადამიანები, დაშალა თვით ადამიანი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მისი ხასიათი, გზა გაუხსნა და ზედაპირზე ამოატივტივა ყველაზე უფრო მდაბალი გრძნობები და მისწრაფებები, რაც კი სულის წიაღში ოდითგანვე არსებობდა, არსებობდა დამალულად, ფარულად, ჩვენდა შეუგნებლად, მომაკვდინებელი სენით მოწამლა მთელი საზოგადოება.

ვაი, იმ ერს, რომელიც „ჩვენ“ და „ისინისაგან“ შესდგება, ვაი იმ ქართველს, ვინც გამარჯვებას მოძმის დამარცხებაში პოულობს, ვინც სხვათა დასანახად პირჯვარს იწერს და თავისივე მსგავსის უსასტიკესად წამება შეუძლია!

ეს უბედურება არ ახსოვს საქართველოს, თვით მაშინაც კი, როდესაც ქართლ-კახეთში ზნედაცემული ნაზარალი-ხანი მეფობდა, მაშინაც კი, როდესაც უპატრონოდ შთენილ საქართველოს გულს ოსმალები დაეპატრონენ და მრავალჭირნახული ქართლი ტფილისს ვილაიეთად გამოაცხადეს!

მაშინ ქართველი მაინც ქართველი იყო, გული სამშობლოსთვის უძგერდა, ღმერთი სწამდა, მოყვასი უყვარდა, მზად იყო, ყველა და ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, მამულის წმიდა საკურთხეველზე მიეტანა.

ვართ დღეს ჩვენ ის ქართველები? ვაი, რომ არა, არა ვართ!

არა მსურს დავწვრილმანდე, სათითაოდ ჩამოვთვალო სულის შემძვრელი დანაშაულობანი, რომელსაც ჩვენი თანამემამულენი ყოველ ნაბიჯზე სჩადიან.

პირადად მე იმითლა ვსულდგმულობ, რომ მწამს, ჯერ ყველაფერი არ დაღუპულა, ჯერ კიდევ ისმის პროტესტის ხმა, გადაგვარების გზაზე დამდგარი ერი ჯერ კიდევ მთლად არ გადაგვარებულა, ჯერ კიდევ შეგვიძლია, სულის გადარჩენაზე ვიფიქროთ!

— თქვენ როგორ გგონიათ, რა სტკივა ახლა ქართულ სოფელს, რა აწუხებს ჩვენს გლეხკაცს?

— ქართული სოფლის სატკივარი ისევე ტრაგიკულია, როგორც მთელი ჩვენი ცხოვრება. სამოცდაათი წლის ტირანიის მსახვრალი კვალი ისე ნათლად არაფერს ემჩნევა, როგორც სოფელს. კომუნისტურმა წესწყობილებამ ძირფესვიანად დააქცია სოფელი, მარჩენალ მიწასთან შეჭიდებული, ქვეყნის ბურჯი გლეხი მონა კოლმეურნედ, სოფლის უუფლებო პროლეტარად აქცია, რომელსაც მამა-პაპის დანატოვარ მიწასთან უკვე აღარაფერი აკავშირებდა, გარდა ადმინისტრაციული იძულებისა.

დღეს პრივატიზაციას ვიწყებთ. ეშმაკის კერძად ქცეული მიწა მის დამმუშავებელს მუდმივ საკუთრებაში უნდა გადაეცეს.

ნუ გავიკვირვებთ, თუ ეს საქმე ისე ადვილად მოსაგვარებელი არ აღმოჩნდა, როგორც ბევრს, ვითარებაში არასაკმაოდ გარკვეულ ენთუზიასტს ეგონა. ვიდრე დავიწყებას მიცემული და ისტორიის კუთვნილებად ქცეული გლეხის ხასიათი, გლეხური ფსიქოლოგია არ აღდგება, რასაც, ალბათ, მრავალი წელი დასჭირდება, ქართული სოფელი იმ მამა-პაპურ სახეს ვერ მიიღებს, როგორიც მას ბოლშევიკების საქართველოში შემოსვლამდე ჰქონდა.

თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს რომ თავი დავანებოთ, რითაც კოლექტიური მეურნეობა მიწას ამუშავებდა, დღეს სოფლის მწარმოებელს (ჯერ კიდევ ნაადრევია მას გლეხი ვუწოდოთ!) პრიმიტიული მამა-პაპური საწარმოო იარაღებიც კი აღარ გააჩნია, როგორიცაა თოხი, ბარი, ნამგალი, ცელი, წერაქვი, გუთანი, სახნისი, კევრი, საწნახელი და უამრავი სხვა რამ, სოფლის კაცს ყოველდღე და ყოველ წუთს რომ სჭირდება, არა ჰყავს, რაც მთავარია, გამწევი ძალა, ცხენი, ხარი და კამეჩი. მაშ, მიწა რით დაამუშაოს, წლის მოსავალი რით მოიწიოს?

გავიხსენოთ ისიც, რა ღირს ლიტრი საწვავი, შხამქიმიკატები, კირი, გოგირდი და შაბიამანი, ვიანგარიშოთ, რა უჯდება გლეხს კილო ხორბალი ან კილო ყურძენი, როგორია მათი საბაზრო ფასი, მოგებას ნახავს თუ იზარალებს, ჩვენ გაკერძოების იდეა მიზეზთა და მიზეზთა გამო ჰაერში ხომ არ ჩამოეკიდება?

ისე წახდა საქმე, რომ ეს მე, არასპეციალისტმა, უნდა შევახსენო ჩვენს მეცნიერ ეკონომისტებს, სადირექტივო ორგანოებს და კომპანიას, ვინც ამ ამბების წარმართვითაა დასაქმებული?

ასე რომ, ყურადღების გამახვილება მარტო იმაზე, რომ მიწა მეკომურეებზე გავანაწილოთ, არ კმარა. არ კმარა და ეს აწუხებს სწორედ გლეხსაც, ესაა მისი სატკივარი.

— თქვენი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, რომლებიც წიგნებში— „აწონილი სიტყვა“, „სიცოცხლის ხე“, „ახალი წახნაგები“, „შხაპუნა წვიმა“ და სხვა — დაიბეჭდა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის სხვადასხვა სფეროს ეძღვნება, თუმცა მათ აერთიანებს თემის აქტუალურობა და უოველდღიურობასთან სისხლხორცეული კავშირი. აკი განაცხადეთ კიდეც — „მე არ შემიძლია ფიზიკურად ვარსებობდე საზოგადოების სადღეისო პრობლემების შუაგულში ტრიალის გარეშე“. თქვენი აზრით, რომელი პრობლემებია წინა პლანზე წამოსაწევი ამჟამად და როგორ მოგწონთ ამ მხრივ გაზეთი „საქართველო“? და, საერთოდ, დამაკმაყოფილებელია ჩვენი პრესის მუშაობა დღეისათვის?

— თანამედროვე საქართველოს მთავარ პრობლემად ერის სულიერი გაჯანსაღება, დაკარგული ზნეობრივი ორიენტირების აღდგენა, შრომისადმი ჯანსაღი დამოკიდებულების, ყოველი მოქალაქის მიერ საზოგადოებაში საკუთარი როლისა და ადგილის ზუსტად განსაზღვრა მიმაჩნია.

რაც შეეხება გაზეთ „საქართველოს“, მე მას თანამედროვე საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ უტყუარ გამომხატველად ვთვლი.

— ბატონო რევაზ, გამოჩნდნენ თუ არა დღევანდელ საქართველოში თქვენივე ნათქვამისა არ იყოს, „მართალი საქმის დასაცავად ხმალამოღებული პუბლიცისტები“ და როგორ უნდა გაუმკლავდნენ იმ ეჭვს, ალბათ, ყველა მათგანი რომ შეუწუხებია და რომელიც თქვენ ასე გამოხატეთ: „წერე, შენ, მწერალო, ვიდრე არ მოგწყინდება, წერე, აყარე კედელს ცერცვი, ის, ვისაც შენი გულიდან ამოსული მწარე სიტყვა ეხება, არც კითხულობს შენს ნაწერს, სამაგისოდ არა სცალია...“

— ისეთი გულმხურვალე პუბლიცისტების ნაკლებობას, როგორიცაა ნაირა გელაშვილი, ნოდარ გრიგალაშვილი და სხვანი და სხვანი, რომლებიც სამწერლო ასპარეზზე ბოლო წლებში გამოჩდნენ და უკვე მოასწრეს მნიშვნელოვანი კვალი გაევლოთ ერის სულიერ ცხოვრებაში, მაინც და მაინც არ განვიცდით, მაგრამ პუბლიცისტიკისადმი საყოველთაო გულგრილობა და მიტინგომანია მაინც თავისას სჩადის. ძლიერნი ამა ქვეყნისანი არცთუ ისე დიდი ენთუზიაზმით ეტანებიან იმას, რაც ჩვენი პუბლიცისტების ხელიდან გამოდის, მიტინგების მოყვარულნი კი საყურადღებოდ მხოლოდ იმას სცნობენ, რაც ყვირილისაგან ჩახლეჩილი ხმით ტრიბუნაზე ითქმის. ტრიბუნა ანალიზისა და აწონ-დაწონვის ადგილი არ არის, ანალიზისა და გონების სასწორზე აწონ-დაწონვის გარეშე კი ქვეყნად ჯერ არც ერთი ღირებული, საზოგადოებისათვის სასარგებლო აზრი არ გამოთქმულა და არც საქმე გაკეთებულა.

— ჩვენი ხალხი ამაყობს იმ დიდი სულიერი კულტურით, რომელიც, ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, ლიტერატურაშიცაა გამოხატული. მაგრამ, რა დასამალია და, ამ გაუგონარი ინფლაციის პირობებში ძალზე გაჭირდა კარგი წიგნის გამოცემა, ხოლო მეორე მხრივ, წიგნის ბაზარი წალეკა მასობრივ მომხმარებელზე გათვლილმა მდარე ხარისხის თარგმანებმა, გემოვნებას რომ უნაგვიანებს ჩვენს მკითხველს. ისე, მოთხოვნილება რომ არ იყოს, არც გაჩნდებოდა. თქვენივე სიტყვებით გკითხავთ: „მეტყველებს თუ არა წიგნის ჭეშმარიტ ღირსებებზე მისი ერთბაშად გაჭრობა მაღაზიის თაროებიდან?“ და რა ეშველება კარგ ლიტერატურას, ხომ უნდა გამოვიდეს ბოლოს და ბოლოს კარგი წიგნი?

— წიგნის უეცრად გაჭრობა მაღაზიის თაროდან, რასაკვირველია, არ გამოდგება მისი ნამდვილი ღირებულების დასადგენად. სენსაციური ბესტსელერები მეტწილად მეტეორივით გაიჭროლებენ ხოლმე ცის კაბადონზე და ისევე უკვალოდ ქრებიან, როგორც გამოჩნდნენ. ბესტსელერი ბიზნესისთვისაა გამიზნული, პორნოგრაფიული თხზულება იქნება იგი, პოლიტიკური ინტრიგების ამსახველი ქრონიკა თუ ამა თუ იმ პოპულარული პიროვნების საყოფაცხოვრებო დეტალების არცთუ ზნეობრივი გამომზეურება.

სამწუხაროდ, საქართველოს წიგნის ბაზარი ამ ბოლო დროს სწორედ ამგვარი ლიტერატურული პროდუქციის ასპარეზად გადაიქცა. ბულვარული მაკულატურა, რომელიც თქვენ ახსენეთ, გაუმაძღრად ნთქავს ნამდვილი ლიტერატურისათვის განკუთვნილ ქაღალდის ფონდს და ერთადერთ დანიშნულებას ასრულებს — გაამდიდროს გამომცემელი და საშუალება მისცეს მას, მიღებული ფინანსური მოგება კიდევ უფრო მდაბალი ემოციების აღმძვრელი წიგნების გამოცემას მოახმაროს, რათა განუსაზღვრელად ზარდოს და ზარდოს ფულადი შემოსავალი.

თითოეული მკითხველის პირადი საქმეა, ვინ რა წიგნს შეიძენს და წაიკითხავს. ჭეშმარიტ მწერლობას, რომელსაც ერის სულიერი წინამძღოლობის მისია აკისრია, ბრძოლის და გამარჯვების მხოლოდ ერთადერთი გზა აქვს: არ დასთმოს მშვენიერებისაკენ ლტოლვის პოზიცია, გაიტაცოს მკითხველი და აზიაროს ის ჭეშმარიტებას!

მაგრამ, მართალი ბრძანდებით, ეს რომ მოიმოქმედოს, წიგნი უნდა გამოვიდეს. თუ ის არ გამოვა და მკითხველამდე ვერ მიაღწევს, რით და როგორ უნდა შესძლოს ზემოქმედება?

სიძნელეც სწორედ ესაა. ცის ქვეშ ადგილის მოპოვება, მკითხველის გულამდე მისვლა ყოველთვის ყოფილა და არის ყოველი შემოქმედის სანუკვარი ურთულესი საქმე. ეს საქმე გაგვირთულა საბაზრო ურთიერთობებმა, რომელიც, კულტურული დასავლეთის კვალდაკვალ, ესაა იკიდებს ფეხს ჩვენში და სახელმწიფო საგამომცემლო გეგმის მიხედვით წიგნების გამოცემის ადგილს იკავებს.

მე ასე მგონია: არ არსებობს სხვა ძალა, კონკურენციაში რომ გაგამარჯვებინებს, გარდა მაღალმხატვრულად წერისა. მწამს, რომ მკითხველი არასოდეს არ შეაქცევს ზურგს კარგ წიგნს და სულიერ საზრდოდ მდარე ლიტერატურას არ გამოიყენებს.

მკითხველებს შორის მე ვგულისხმობ გამომცემლებსაც, რომლებიც, რა უკვირს, ... ლიტერატურული გემოვნების პატრონიც არ უნდა იყვნენ, ჭეშმარიტ მხატვრულ ქმნილებას ლიტერატურულ სუროგატს წინ არასოდეს არ დაუყენებენ. მაგრამ ცოტაა ეს „ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილებები“, ძნელი საშოვარია, წიგნის ბაზარი კი, როგორც საზოგადოდ ყველა ბაზარი, თავისას მოითხოვს!

— „ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ნაწარმოების შექმნა, უველას მოეხსენება, ინტელექტუალურ დაძაბულობასთან ერთად, დიდ ფიზიკურ გამძლეობას, ნებისყოფას და გარჯას მოითხოვს“ — ბრძანებდით თქვენი ვრცელი მოთხრობის, „მარუხის თეთრი ღამეების“ გამო... თქვენი ბოლო წიგნი, თუ არ ვცდები, ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის შეფიცულთა რაზმის ბრძოლებზე დაწერილი დოკუმენტური მოთხრობების კრებული იყო. თუ საიდუმლო არ არის, რა წიგნს უნდა ველოდოთ მომავალში?

— დიახ, ჩემი ბოლო წიგნი „ქაქუცა და მისი ძმებია“. ამ მოთხრობის შესაქმნელად მე ლეგენდარული ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლთა მემუარული ჩანაწერები გამოვიყენე და შევეცადე, თითოეულ მათგანში ეპოქის სული აღმედგინა. სამწუხაროდ, წიგნის თითქმის მთელი ტირაჟი, 9 ათასი ცალი, ცეკავშირის ლილოს ბაზაში აწყვია და იმ მიზეზით, რომ ბენზინის დეფიციტს განიცდიან, მთელი 6 თვის განმავლობაში წიგნი ბაზარზე ვერ გაუტანიათ.

სრულიად ახალი წიგნი, რომანი „გზა გოლგოთისაკენ“, რომელიც შარშან ზაფხულზე დავასრულე, უკვე დაბეჭდილია საკმაოდ დიდი, 40 ათასი ტირაჟით და თუ გამომცემლობა „მერანის“ ხელმძღვანელებს დავუჯერებთ, სულ მალე უნდა გამოვიდეს წიგნის ბაზარზე.

ეს წიგნი თითქმის ნახევარი წლის წინათ უნდა გამოსულიყო. ჯერ უსაშველოდ გაძვირებულ საბეჭდ ქაღალდს ვერ მოუყარეს თავი, შემდეგ მუყაო, წებო და ათასი სხვა მასალა გახდა საძებარი. ამას გარდა, წიგნი მინსკის ერთ-ერთ სტამბაში დაიბეჭდა და იქიდან აქამდე მოსვლაც ხომ უნდა!

ველი მოუთმენლად, როდის ჩამოაღწევს, როდის მივა მკითხველამდე, რას იტყვის მკითხველი, ამაოდ ხომ არ დავშვრი...

უფრო ახალი წიგნი? ვწერ! ვმუშაობ თავაუღებლად, ვუძლებ გზადაბნეულ ავის მოსურნეთა ანონიმურ წერილებს, რომლებიც სრულებითაც არ მიორკეცებენ შემოქმედებითი შრომის უნარს, ვუსმენ ანონიმურ დამოძღვრებებს ტელეფონით და ვწუხვარ, სად იყო აქამდე ამდენი შხამი, სიძულვილი, რაში ეტეოდა. ნუთუ ვინმეს მართლა ჰგონია, რომ სამშობლოს კეთილდღეობა თითოეული ჩვენგანის ასაშენებელი არ არის, რომ მავანი და მავანი საჭიროა, მავანი და მავანი კი ზედმეტია? არა, ბატონებო, ზედმეტი არავინ არ არის. ყველა საჭირო ვართ და თითოეულს ჩვენ-ჩვენი ჯვრის ზიდვა გვაკისრია!

ესაუბრა
მიხო მოსულიშვილი

21 მაისი, 1992 წ.

აჭარა სიმშვიდეს ინარჩუნებს

20—21 მაისის აჭარის უზენაესი საბჭოს სესიას მთელი საქართველო მოუთმენლად მოელოდა. სესიას ბევრ საკითხზე უნდა გაეცა პასუხი, მათ შორის უმთავრესზე — დარჩებოდა თუ არა მშვიდობა აჭარაში.

ინტერესს განსაკუთრებით აძლიერებდა ის გარემოება, რომ 8 მაისის სესიაზე, ბლოკ „აჭარის“ დეპუტატთა მიერ მოულოდნელად წამოყენებულ იქნა საკითხი — უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შესახებ.

ოპოზიციონერთა ამგვარმა ტაქტიკურმა სვლამ სრული დისონანსი შეიტანა პარლამენტის მუშაობაში. სესია შეწყდა. ხანგრძლივი დეტების შემდეგ გადაწყდა, რომ მომავალ სესიაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდოდნენ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე და პრემიერ-მინისტრი გურამ ვარშალომიძე.

დაძაბულობამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია სესიის წინა დღეს, როდესაც გაიფიცნენ პროკურატურის მუშაკები. ხალხი ააღელვა ქობულეთში მომხდარმა შეიარაღებულმა შეტაკებამ. ბანდიტების ტყვიას შეეწირნენ პროკურატურის თანამშრომლები გია დვალაძე და გია ფალავანდიშვილი.

აი, ასეთ ვითარებაში გაიხსნა სესია.

დღის წესრიგში იდგა ცხრამეტი საკითხი. სხდომათა ხანგრძლივობა საშუალოდ 12 საათს შეადგენდა. სესიის მთელი მსვლელობა გადაიცემოდა აჭარის ტელევიზიით, ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე. თითოეულ საკითხზე მიმდინარეობდა პრინციპული და გულმოდგინე სჯა-ბაასი. შიგადაშიგ იყო ემოციური და ეფექტური მომენტები, ზოგჯერ — კურიოზებიც.

კრიტიკაც ბევრი იყო და თვითკრიტიკაც. ოპოზიცია — ოპოზიციობდა და ხელისუფლება —, ხელისუფლობდა. აზრთა ჭიდილში ხან ერთი იყო ქვემოთ და ხან მეორე-ზემოთ, მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვა მშვიდობამ და კეთილგონიერებამ...

მე დაწვრილებით არ შევუდგები სესიის მსვლელობის განხილვის; თავს არ ვიდებ იმის განსჯას, თუ რომელი მხარე უფრო უკეთ გამოიყურება ზნეობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით — ხელისუფლება თუ ოპოზიცია. და ამას შეგნებულად, ერთი მიზეზის გამო ვაკეთებ.

აჭარაში ხდება საზოგადოებრივ — პოლიტიკური ცნობიერების ფორმირების მეტად რთული პროცესი, მაგრამ ეს პროცესი მშვიდობიან კალაპოტში მიემართება.

საქართველოს სინამდვილეში აჭარა დღეს ერთადერთი რეგიონია, სადაც ძალზე რთული ინფრასტრუქტურის მიუხედავად, შედარებით უფრო სტაბილური მდგომარეობაა.

ის, რომ აჭარა არ გადაიქცა ძმათამკვლელი ომის ასპარეზად, უწინარეს ყოვლისა ხელისუფლების, ოპოზიციის, ინტელიგენციისა და მთელი ამ კუთხის მოსახლეობის ერთიანი ძალისხმევის შედეგია. დღეს ნებისმიერმა დაუფიქრებელმა სიტყვამ, ნაუცბათევმა დასკვნამ და სუბიექტურმა მიდგომამ შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს ამ სიფრიფანა მშვიდობას.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართველებმა ჯერ სიტყვებით მოვკალით ერთმანეთი და შემდეგ ავტომატებით...

ამიტომ, უფრო უპრიანი იქნება, აჭარაში მიმდინარე პროცესებზე საუბარი მათ მივანდოთ, ვინც მოვლენების შუაგულში ტრიალებს. დაე, დასკვნები თავად მკითხველმა გააკეთოს.

კოტა ლიკლიკაძე



ასლან აბაშიძე:

შთამომავლობა ყველას გვაგებინებს პასუხს

— ბატონო ასლან, დღეს ბევრს ლაპარაკობენ აჭარაში გამეფებულ მშვიდ ატმოსფეროზე. ტერმინიც კი გაჩნდა „აჭარული ფენომენი“. შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ დღეს აჭარაში სტაბილიზაციაა?

— ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია. სტაბილიზაციაც, რომელიც თქვენ ახსენეთ, ასევე შედარებითია. აბა, ვინ იტყვის დღეს, რომ სადმე სრული სიმშვიდეა? ჩვენი სამშობლო არის ერთიანი საქართველო. ხატოვნად თუ ვიტყვით, საქართველო არის გემი, რომელიც ძლიერ დიდ შტორმში მოჰყვა. და განა შეიძლება თქვა, რომ გემის რომელიმე ნაწილი დაზღვეულია ამ შტორმისაგან?

ჩვენი რეგიონი იმყოფება საქართველოს სამხრეთ კუთხეში, თქვენ იცით, თუ რა რთული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულია აჭარა. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ახლა არსებული მდგომარეობა შეიძლება შედარებით სწრაფად გამოსწორდეს, მაგრამ არის რეგიონები, სადაც თუ ჩვენ დავუშვებთ უწესრიგობას, მდგომარეობის გამოსწორებას ათეულ წლობით ვეღარ შევძლებთ.

ამიტომ, ვიცოდით რა ეს, ყველა ღონე ვიხმარეთ, რათა არ დაგვშვა არეულობა. ყველაფერს ვერ ჩამოთვლი კაცი. ეს არის კომპლექსი გატარებული ღონისძიებებისა, რომლებსაც ერთად მოვუყარეთ თავი, რათა როგორმე შეგვენარჩუნებინა აჭარაში სტაბილური სიტუაცია. მოგეხსენებათ, ჩვენ შორს არ ვიყავით იმ მომენტიდან, რომლიდან შემობრუნებაც იოლი იქნებოდა. თანაც არავინ იცის, რა ძალები ჩაერეოდა მასში.

— რა ძალებზეა ლაპარაკი?

— ყველა ძალაზე. აბა, ვინ იტყვის დღეს, თუ რა ძალები მოქმედებენ საქართველოში? საერთოდ არ არსებობს შიგა ძალების ისე აზვირთება, თუ მას არ ახლავს რაღაც პირობები გარედან.

— ბატონო ასლან, მინდა შეგეკითხოთ აჭარის ხელისუფლების მიერ მოსახლეობაში დარიგებული იარაღის თაობაზე. რამ განაპირობა ცეცხლსასროლი იარაღის დარიგება?

— როდესაც ამ ფაქტს ახსენებენ, ჩემი ოპონენტები ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, თითქოს იარაღის დარიგება მიმართული იყოს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს სრული აბსურდია. როგორ შეიძლება ჩვენ გამოვიდეთ რაღაც ეჭვების პოზიციიდან და ქმედებებს არ მივცეთ შეფასება. დავასახელოთ თუნდაც ერთი ფაქტიც კი, როდესაც ჩვენი კუთხის წარმომადგენელმა ძმათამკვლელ ომში მიიღო მონაწილეობა. თუმცა ამის წამქეზებელი ძალიან ბევრი იყო და დღესაც არის.

აი, ჩვენი გამარჯვება ზუსტად იმაშია, რომ შევქმენით ისეთი ატმოსფერო, აჭარა ძმათამკვლელ ომში არ ჩაბმულიყო.

— მაგრამ, სამწუხაროდ, ძმათამკვლელი ომი საქართველოში კვლავაც გრძელდება...

— იცით, ეს არის ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩვენი ისტორიისა. ეროვნული უბედურება, რომლისთვისაც შთამომავლობა ყველას გვაგებინებს პასუხს. აქ გამონაკლისი არ იქნება, ვინც არ უნდა იყოს ის, ამ ტრაგედიის შემოქმედი, მასში მონაწილე თუ პასიური მჭვრეტელი. ყველანი წარვსდგებით ისტორიის სასამართლოზე, ერის სამსჯავროზე.

— მართალია თუ არა, რომ აჭარაში არ არის არც გვარდია და არც სხვა შეიარაღებული ფორმირება?

— პირველი დღიდანვე, როდესაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მუშაობას შევუდექი, განვაცხადე, რომ წინააღმდეგი ვარ ყველა არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებისა. ეს იცოდა ყოფილმა ხელისუფლებამ და იცის დღევანდელმაც. ამ შეხედულებისთვის მე არასოდეს მიღალატია. ჩვენთან არ არის გვარდია, არ არის „მხედრიონი“. წინა ხელისუფლების დროს აქ იყო გვარდიის ნაწილი, მაგრამ 22—23 აპრილის მასობრივი არეულობის დროს, ეს ფორმირება ჩვენ დავშალეთ.

რატომ ვარ წინააღმდეგი? იმიტომ, რომ დაუშვებელია იარაღი მისცე ნაუცბათევად შექმნილ სამხედრო შენაერთს, რომელსაც სათანადო სკოლა არ გაუვლია. იარაღი უნდა ჰქონდეს მხოლოდ სამხედროს და მილიციას, რომელთაც ერთი ხემძღვანელობა ეყოლებათ.

დღეს კი რა ხდება? ცამეტზე მეტი შეიარაღებული ფორმირებაა საქართველოში. და ნურავინ ნუ იტყვის, რომ მათ ვინმე მართავს. იყო შემთხვევები, როცა ჩვენს ტერიტორიაზე შემოვიდა რამდენიმე შეიარაღებული ჯგუფი. ადამიანებიც კი მოგვიკლეს. მათი დაკითხვის დროს გაირკვა, რომ ზოგი მათგანი ცხინვალში უნდა ყოფილიყო ზოგიც სხვა ადგილას.

დღეს ყველას აშინებს, თუ რატომ არის აჭარაში იარაღი და ამაზე უზარმაზარი აქცენტია გაკეთებული. მე ვსვამ უკუკითხვას, რატომ არის სხვაგან იარაღი? როგორ გამცემენ პასუხს.

ვიმეორებ, ჩვენგან არც ერთი შეიარაღებული კაცი არ გასულა საქართველოს რომელიმე კუთხეში. აჭარაში კი რამდენიმე კაცი მოგვიკლეს, სხვა რეგიონებიდან შემოსულმა შეიარაღებულმა პირებმა.ამას წინათ ერთი მილიციის კაპიტანი დაცხრილეს ტყვიებით. არის სხვა შემთხვევებიც.

— პოლიტიკური მოტივები ხომ არ აქვთ ამგვარ ფაქტებს?

— როცა მკვლელი დაპატიმრებული არ არის,ძალინ ძნელია დაასკვნა მოტივი პოლიტიკური იყო თუ პირადული.

გარკვეულ პერიოდში აჭარის ტერიტორიაზე ბევრი შეიარაღებული პირი იყო შემოსული, რომელთა დესტრუქციულმა ქმედებებმა კრიტიკულ მომენტამდე მიგვიყვანა. მაგრამ ჩვენ ვმართეთ მდგომარეობა და ამაზე ხმამაღლა არ ვლაპარაკობთ, რადგანაც ეს ჩვენი მოვალეობაა.

რაც შეეხება ჩვენგან დარიგებულ იარაღს. კვლავ დავუბრუნდები ამ თემას. მე ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, ოფიციალურმა ხელისუფლებამ სატაბელო იარაღი დაურიგა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს და მათ ხელშეწყობ რაზმელებს ანუ იმ ადამიანებს, რომლებმაც იციან იარაღის ყადრი და აქვთ სათანადო გამოცდილება. ეს იარაღი იქნება ამოღებული მაშინვე, როცა ამის საჭიროებას დავინახავთ და ამისთვის სულ რამდენიმე დღე დაგვჭირდება.

ჩვენ კარგად გვესმის ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც იარაღის დარიგების გამო დაგვეკისრა. შესაძლოა რამე გაუთვალისწინებელი შემთხვევაც მოხდეს, მაგრამ, გვერწმუნეთ, ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რათა დაგვეცვა მოსახლეობა და სიტუაცია მართვადი გაგვეხადა.

— ბატონო ასლან, რა პრინციპით ხელმძღვანელობთ კადრების შერჩევის დროს?

— ამას წინათ, ბატონი ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის დროს ითქვა, რომ ასლან აბაშიძე კადრებს ნიშნავს მეგობრული, ნათესაური, კლანური პრინციპით. ბოლო ხანს მე იმდენი ცილისწამება მოვისმინე, რომ უკვე აღარაფერი მიკვირს. მაშინ მე შევიარდი მოსახლეობას და გამოვაქვეყნე დოკუმენტი, სადაც მოცემულია მინისტრობის კანდიტატთა სია და იმ დეპუტატთა რაოდენობა, რომლებმაც ხმა მისცეს წარმოდგენილ კანდიდატებს. თითქმის ყოველთვის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობაა (გარდა ტელერადიოდეპარტამენტის თავმჯდომარის კანდიდატურაზე). დღეს რომ ხმას მისცემ კაცი, ხვალ უკუღმა აღარ უნდა ილაპარაკო. უბედურება ისაა, რომ სრულიად საქართველოს ვერ შემოივლი ფეხდაფეხ და ყველას ვერ აუხსნი სიმართლეს.

მაგალითად იყო ასეთი ფაქტი. უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე დასახელებული იყო ბატონ ილია წულუკიძის კანდიდატურა, რომელიც ძალიან წესიერი, პრინციპული და პატიოსანი ადამიანია. ოპოზიციონერთაგან გამოვიდა დეპუტატი კუტუბიძე და დაახლოებით ასეთი რამ თქვა: მკრეხელობა იქნება, რომ ბატონ ილია წულუკიძის პატიოსნებაში ვინმემ ეჭვი შეიტანოსო. ამ კანდიდატურას ყველა დეპუტატმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. შემდეგ კი მოულოდნელად გამაკრიტიკეს: აბაშიძემ ილია წულუკიძე იმიტომ დანიშნა, რომ მისი ნათესავიაო...

იცი რას ვიტყვი: ჩვენ ქართველები ყველანი ერთმანეთის ნათესავები ვართ. ჩვენი საქმე მაშინ წახდა, როცა ეს დავივიწყეთ. ახლა როგორ მოვიქცეთ, არ დავნიშნოთ კაცი თანამდებობაზე, რაკი ყველანი ერთმანეთს ვენათესავებ-ვემოყვრებით?

მე კადრების დაკომპლექტებისას, რა თქმა უნდა, ადამიანის პროფესიონალიზმით ვხელმძღვანელობ, მაგრამ პროფესიონალიც შეიძლება იყოს ნათესავი...

— ამბობენ, თითქოს თქვენ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმეებში უხეშად ერევით.

— დღეს ადამიანი თუ გინდა დასწყევლო, მას ხელმძღვანელობა უნდა უსურვო. მე ხშირად მედავებიან ოპონენტები, ბატონო ასლან თქვენ ერევით მინისტრთა კაბინეტის მუშაობაში, აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში. გიჯობთ ეკონომიკურ პრობლემებს შეეშვათ და კანონმდებლობას მიხედოთო. როგორ შეშიძლია მე, რომ ჩემთან მოსულ კაცს ვუთხრა, ეს ჩემი კომპეტენცია არ არის და მინისტრთა საბჭოში ან ქალაქის საბჭოში წაბრძანდი თქო? ეს არის უხეშად ჩარევა ან უზურპაცია? უბრალოდ ჩვენ შევქმენით ძლიერი გუნდი, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ მოსახლეობა მეტნაკლებად იყოს დაცული თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროს. რა არის ამაში ცუდი, როცა აღმასრულებელი და განმკარგულებელი ერთად თანამშრომლობენ?

— ბატონო თამაზ, როგორ შეაფასებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობას, იმ მოვლენების გათვალისწინებით, რაც მას წინ უძღოდა?

— ვიდრე უშუალოდ 20—21 მაისის სესიის მუშაობაზე გესაუბრებოდეთ, მსურს 8 მაისის სესიას დავუბრუნდე და გავიხსენო ზოგიერთი მომენტი, რადგან მათ შესახებ საინფორმაციო საშუალებებმა ძალიან მწირი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას. ამ სესიაზე ოპოზიციონერ დეპუტატთა ჯგუფმა დააყენა ბატონ ასლან აბაშიძის გადაყენებისშოტივირებული მოთხოვნა. ამას მოჰყვა სკანდალი. დაიწყო ჩვენს მიმართ სრულიად აბსურდული ბრალდებების წამოყენება, თითქოს ჩვენ არასწორად გვესმის კონსტიტუცია და მისთანები. სესია საერთოდ უმართავი გახდა.

ჩვენი ამგვარი მაქსიმალური მოთხოვნა იმან განაპირობა, რომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა უარი განაცხადეს ჩვენს მიერ წამოყენებულ მოთხოვნაზე — გაეკეთებინათ ანგარიში ექვსი თვის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ. მათ „მოიმიზეზეს“, რომ მზად არ არიან. ამიტომ ჩვენ გავაკეთეთ, ასე ვთქვათ, „ცხენით სვლა“. ეს იყო ტაქტიკური ჩანაფიქრი, რის შედეგადაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი იძულებულნი გახდნენ დათანხმებულიყვნენ ანგარიშზე. ასე რომ, ბატონ ასლან აბაშიძის გადაყენების მოთხოვნა, ეს იძულებითი ნაბიჯი იყო. მე მინდა დაფიქსირდეს, რომ ეს იყო სერიოზული კონფლიქტის შედეგად მიღწეული კომპრომისი.

რაც შეეხება 20—21 მაისის სესიის მუშაობას. საერთო ჯამში მე კმაყოფილი ვარ, თუმცა არ მოველოდი, რომ ხელისუფლება ისევ მიმართავდა იაფფასიან ხრიკებს, ატავისტურ-გადაგვარებულ მეთოდებს, რომლებიც პოლიტიკურ არსენალში არსად არ იხმარება.

— რას გულისხმობთ ამგვარ გაშოთქმებში? ცოტათი ხომ არ ამუქებთ ფერებს?

— მე პასუხს ვაგებ ამ სიტყვებზე და მათ მართებულობაში ყველა დარწმუნდება, ვინც სესიის ჩანაწერს იხილავს. ჩვენ დაგვჭირდა ორდღეანი ხანგრძლივი, რათა დაგვერწმუნებინა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და დეპუტატთა ერთი ნაწილი, რომ როდესაც მოისმინება ანგარიში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურთაგან, აუცილებელია ხელისუფლების მესამე შტოს — სამართალდამცველი ორგანოებისაგანაც მოვისმინოთ განმარტებები. ეს ელემენტარული ლოგიკაა. მით უფრო მაშინ, როცა აჭარაში კრიმინოგენული სიტუაცია საშინლად გამწვავებულია. უაზროდ და უკონტროლოდ არის დარიგებული დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი. უკვე ისმის ავტომატის კაკანი, არის მსხვერპლიც. ასეთ დროს არ უნდა გამოვიდეს შინაგან საქმეთა მინისტრი? არ უნდა გამოვიდეს პროკურორი? რატომ სჭირდება ამისთვის ხელისუფლებას ხვეწნა-მუდარა?!

—კარგი, მაგრამ კმაყოფილი რითილა ხართ?

— კმაყოფილი ვარ თუნდაც იმით, რომ მიღებული იქნა კანონი ფრაქციების შესახებ. ასევე სესიაზე გამოიტანეს საკითხი დეპუტატის სტატუსის შესახებ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი კანონი და მასზეა დამოკიდებული ნებისმიერი პარლამენტის მუშაობა და მისი ფუნქციის სრულყოფილი აღსრულება, რადგან იგი დეპუტატის უფლებამოსილებას ეხება. თუკი დეპუტატი არ იქნება დაცული და მაქსიმალურად არ ვქნება გარანტირებული უფლებები, პარლამენტი ფუნქციას დაკარგავს.

ასევე მეტად საინტერესო იყო საკითხი თავისუფალი მანდატის შესახებ. ამ საკითხმა დიდი დავა-კამათი გამოიწვია, ბოლოს შევთანხმდით, რომ იგი შემდეგ სესიაზე განვიხილოთ.

ამთავითვე ვიტყვი, რომ თავისუფალი მანდატის შესახებ კანონს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საქართველოში პოლიტიკური კოლიზიები რომ მოხდა, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო სწორედ ამ კანონის უგულებელყოფა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ვერ აღმოჩდა ის პარალელური სტრუქტურა, რომელიც ბოლოს მოუღებდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთპიროვნულ და დიქტატორულ მისწრაფებას. ეს რომ არ მოხდა, ამაში დამნაშავეა კანონი დეპუტატის სტატუსისა და ასევე დეპუტატის გაწვევის შესახებ, რამაც უზენაესი საბჭოს წევრები აბსოლუტურად უუფლებო მდგომარეობაში ჩააყენა. აქედან გამომდინარე პარლამენტი გახდა თოჯინა პრეზიდენტის ხელში. მან (პარლამენტმა) პირველსავე წინადადებაზე მორჩილად ხელი აუწია და მიანიჭა ზვიად გამსახურდიას გარეკვის უფლება. ეს ფაქტი უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა დეპუტატებმა, რადგან იგივე მოელის აჭარის უზენაეს საბჭოსაც, თუკი არ გავა დეპუტატის თავისუფალი მანდატი და თუ დეპუტატის გაგდების უფლება ექნება ან პარტიას ან ამომრჩეველთა ჯგუფს.

შემდეგ, უნდა განხილულიყო საკითხი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ. საოცარია, რომ ბატონმა ასლან აბაშიძემ 68 დეპუტატიდან (ადრე 89 იყო) დღემდე ვერ გამოძებნა შესაფერი კანდიდატურა.

კმაყოფილი ვარ იმით, რომ, ბოლოსდაბოლოს, მოვისმინე პროკურორის მოხსენება. საზოგადოება დარწმუნდა, რომ როგორც ოპოზიცია, ისევე ხელისუფლების ერთ-ერთი შტო — პროკურატურა, ერთსულოვნები არიან იმაში, რომ იარაღის დარიგება აბსოლუტურად უკანონო აქტი იყო...

—საპარლამენტო ოპოზიცია უკმაყოფილოა ზოგიერთი თბილისელი ჟურნალისტის საქმიანობით და მათ ადანაშაულებს არაობიექტურობასა და ტენდენციურობაში, თუკი ჟურნალისტი ზომიერ, დამამედებელ ინფორმაციებს იძლევა აჭარაში მიმდინარე პროცესებზე.

არც თქვენი ოპონენტები, ე.წ. პოზიციონერი დეპუტატები იშურებენ „ქება-დიდებას“ ჩვენი მისამართით. ისინი აღშფოთებულნი არიან იმით, თითქოს ოპოზიციას ვუგორებდეთ კოჭს და ისე წარმოვადგენდეთ საქმეს, თითქოს აჭარაში ყველაფერი [illegible]დადაა.

ერთი სიტყვით, ორ ცეცხლშუა ვიწვით.

როგორ გგონიათ, იმ ტრაგიკული დაპირისპირების გათვალისწინებით, რამაც მთელი საქართველო მოიცვა, ხომ არ სჯობია, პოლიტიკოსებიცა და ჟურნალისტებიც ცოტა დაცხრნენ მოვლენების შეფასების დროს?

— პირველ ყოვლისა, ჟურნალისტს ევალება ობიექტურობა, ობიექტურობა და კიდევ ერთხელ ობიექტურობა, ასევე ყოველგვარი სუბიექტური კვალიფიკაციებისაგან თავის შეკავება. მკითხველს უნდა მიეწოდოს ორივე ინფორმაცია. დაე, მან თავად გამოიტანოს დასკვნები. ეს არის ელემენტარული ლოგიკა.

თქვენ სავსებით სწორად შენიშნეთ, რომ არსებობს საერთო პოლიტიკური ფონი, არსებობენ ნრთული და ფეთქებადი რეგიონებიც. დღეს აჭარას თუ შევადარებთ სხვა ფეთქებად რეგიონებს, რა თქმა უნდა, დიდ განსხვავებას შევამჩნევთ. მაგრამ ის ადამიანები, ვინც აქ მუშაობენ და სიღრმისეულად იცნობენ პროცესებს, ვალდებულნი არიან შეახსენონ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ამის თაობაზე.

დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, რომელიც აქ უკანონოდ მოვიდა, ადგას პოლიტიკური განკერძოებულობისა და კარჩაკეტილობის გზას. აკეთებს აპელირებას კუთხურ გრძნობებზე და სურს რელიგიაგამოიყენოს, როგორც პოლიტიკური ძალა.

და ასეთ დროს ჩვენ არათუ როგორღაც ვარსებობთ, არამედ მეზობელ რეგიონებსაც ვეხმარებით. კახეთს 30 ტონა შაქარი მივეცით, ოზურგეთს — 20. ახლახან ფოთიდან ჩამოვიდა რაიონის ხელმძღვანელი და მითხრა 500 ბავშვი გვყავს, რომლებსაც რძეს ვერ ვაძლევთო. 7000 ცალი ბოთლის რძის ფხვნილი მივეცით.

ჩვენს საავადმყოფოებში 30-40 პროცენტი სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ავადმყოფი მკურნალობს, რადგან აქ შედარებით სიმშვიდეა. ნუთუ ეს არის ავის მომასწავლებელი სიმშვიდე?

— ბატონო ასლან, როგორ ცხოვრობთ პოლიტიკისაგან [illegible] დროს?

— თავისუფალი დრო თხთქმის არა მაქვს. ზოგჯერ ოჯახის წევრებსაც ვერ ვნახულობ, ისე გაივლის დღე. მყავს ქალ-ვაჟი, დიანა და გიორგი. დიანა 21 წლისა, გიორგი თხუთმეტის. შარშან 4 აპრილს შეგვეძინა შვილიშვილი, პატარა გიორგი, რომელიც ჩემი ყველაზე ნათელი წერტილია ცხოვრებაში...

იმდენი საფიქრალი და საზრუნავი მაქვს, რომ საკუთარი თავი ვიღას ახსოვს...

თამაზ დიასამიძე:

ჩვენი პოლიტიკა აბსოლუტურად უანგარო

კიდევ ერთი. როდესაც პოლიტიკურ განკერძოებულობაზე ვსაუბრობთ, აქ იგულისხმება ხელისუფლება და არა ხალხი. ეს ბევრს ერევა ერთმანეთში.

—უკაცრავად, ბატონო თამაზ, მაგრამ 20 მაისს ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა იხმარა ასეთი უხერხული ფრაზა: „ჩვენ და საქართველო“, „აჭარა და საქართველო“. ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, რადგან იგი ბოროტგანზრახვით არ თქმულა. მაგრამ ეს რომ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს წამოსცდენოდა, დარწმუნებული ვარ შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ და შესაფერის ინტერპრეტაციებსაც მისცემდნენ..

— მოკლედ გიპასუხებთ. თქვენ ესწრებოდით ამ სესიის მუშაობას და როგორც ჟურნალისტი, დარწმუნებული უნდა იყოთ ჩემი საუბრის ჭეშმარიტებაში. მე არ მახსოვს, ვინ თქვა ეგეთი აბსურდული რამ.

მინდა მოგახსენოთ, რომ თუკი პარლამენტში ჩვენი მხრიდან ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, რაც უარყოფით რეაქციებს იწვევს, ეს არის შიგა საპარლამენტო ქცევის წესებში დაშვებული შეცდომა. მაგრამ როცა მე ვმსჯელობ ხელისუფლების პოლიტიკაზე, აქ უკვე საქმე ეხება წმინდად პოლიტიკას. ხოლო თუ ზოგიერთი საკითხის განხილვისას დროს ზედმეტად ვაჭიანურებთ, ეს ჩვენი ტაქტიკა გახლავთ და ყველა კარტის გახსნას ნუ მომთხოვთ.

— მაგრამ, ალბათ, ხელისუფლებასაც აქვს თავისი ტაქტიკა.

— ხელისუფლების ტაქტიკა ის იყო, რომ მას ორი დღე „სარდაფში“ ჰყავდაპროკურორი. შინაგან საქმეთა მინისტრი სულ ბოლოს გამოჩნდა. განა ეს სასაცილო არ არის?

ჩვენს ტაქტიკებს შორის განსხვავება იმაშია, რომ ხელისუფლება უფრო ტლანქად მოქმედებს, ჩვენ კი უფრო რაფინირებულად.

— თქვენი ოპონენტები გსაყვედურობენ, რომ ოპოზიცია მოწოდებულია ხელისუფლებამ დაუშვას შეცდომა.. იმასაც ამბობენ, თითქოს საპარლამენტო ოპოზიცია გულგრილად ეკიდება საკადრო პოლიტიკას და აქამდე არც ერთი კანდიდატურა არ შეგითავაზებათ აღმასრულებელი ხელისუფლების პოსტზე.

— ეს არის უსუსტესი ბრალდება, რომელსაც ჩვენ გვიყენებენ. ჯერ ერთი, მე უნდა მომეცეს საშუალება მთავრობის კრიტიკისა ოფიციალური საინფორმაციო არხებით, რათა მან ყურად იღოს ჩემი შენიშვნები და არ დაუშვას შეცდომები. ჩვენ კი გადაგვიკეტეს აბსოლუტურად ყველა გზა. ერთადერთი გზა ჩვენი აზრების გამოთქმისა იყო პროკლამაციების გავრცელება. ამჟამად მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა.

ახლა მე გეკითხებით: როგორ მიგვეწვდინა ასეთ ვითარებაში ჩვენი ხმა საზოგადოებისათვის, ხელისუფლებისათვის? როგორ გვეთქვა, რომ იარაღის დარიგება არის ძალიან ცუდი აქტი, რასაც აუცილებლად მოჰყვება მსხვერპლი, ადრე თუ გვიან?

ამის შემდეგ განა შეიძლება იმის თქმა, რომ ოპოზიცია ჩასაფრებულია? ხელისუფლებამ ჯერ უნდა მოგვცეს საშუალება, წინასწარ ვუთხრათ და ვურჩიოთ, თუ რომელი ნაბიჯია მცდარი და დამღუპველი.

რაც შეეხება კადრებისადმი დამოკიდებულებას. ამ ეტაპზე ჩვენ მტკიცედ ვვაქვს გადაწყვეტილი, არ შევიდეთ ხელისუფლებაში და არ დავიკავოთ წამყვანი პოსტები. დღეს ისეთი დროა, რომ ძლიერ გამოცდილი სამეურნეო მუშაკი უნდა იყო, რათა ძველი და ახალი სტრუქტურების არსებობის პერიოდში არ გაფუჭდე, როგორც პიროვნება.

ამ შემთვევაში მე ვსპეციალდები, როგორც კანონმდებელი და მიმაჩნია, რომ ჩემი ადგილი არის მხოლოდ პარლამენტში.

ჩვენს ოპონენტებს კი ეს არ ესმით. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ კაცმა შეიძლება თავისი ნებით უარი თქვას თანამდებობაზე.

— ბატონო თამაზ, 21 მაისს შესრულდა 14 წელი რესპუბლიკური პარტიის დაარსებიდან, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი თქვენც ბრძანდებით. ვსარგებლობ შემთხვევით და გილოცავთ ამ ღირსშესანშავ დღეს.

დასასრულ მინდა გკითხოთ, რა კონკრეტული მოსაზრებები გაქვთ აჭარაში მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და რა მიზნები გაქვთ სამომავლოდ?

— მადლობას მოგახსენებთ მოლოცვისათვის.

ჩვენი მოღვაწეობა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების შესაქმნელად. თუ ასეთი სტრუქტურა არ იქნება, საზოგადოება დაიღუპება. ჩვენ გვსურს, რომ ეს პარალელური სტრუქტურა ხელისუფლებისა სრულყოფილად ჩამოვაყალიბოთ და ავამოქმედოთ. ამით, უწინარეს ყოვლისა, ხელისუფლებას ეხსნება ხელ-ფეხი. ჩვენ მას არა მარტო შეცდომებზე მივუთითებთ, არამედ მივცემთ საუკეთესო გამოსავლის პოვნის საშუალებას. ეს არის თანამშრომლობის ყველაზე უფრო კლასიკური ფორმა ცივილიზებულ საზოგადოებაში.

ბლოკი „აჭარა“ მარტო არ არის არც პარლამენტში და არც მის გარეთ. ჩვენ ვთანამშრომლობთ „მრგვალი მაგიდის“ დეპუტატებთან, რომლებიც არაინშვიათად გამოდიან ხელისუფლების კრიტიკით. კარგი ურთიერთობა გვაქვს კონგრესისტული მიმართულების პარტიებთან.

ჩვენი პოლიტიკა არის აბსოლუტურად უანგარო. კვლავ ვიმეორებ, ამ ეტაპზე არ შეედიგვართ ხელისუფლების არც ერთ სტრუქტურაში და ვკმაყოფილდებით მხოლოდ საკანონმდებლო მოღვაწეობით. ჩვენი პოლიტიკური თაობა არის ის თაობა, რომელსაც აქვს შანსი იყოს ცივილიზებული ხელისუფალი, სანამ არ გაჩნდება მესამე ფენა — მესაკუთრეთა ფენა, რადგან ამას სჭირდება ეკონომიკური რეფორმები. თუ ჩვენ საკანონმდებლო ორგანოში ვიქნებით დომინირებადი ძალა, მაშინ ამ რეფორმების მამოძრავებელი ძალაც ვიქნებით. და შევამზადებთ ნიადაგს, რომ ჩვენი პოლიტიკური თაობა მოვიდეს ხელისუფლებაში და აღარ გაუჭირდეს მართვა.

ფოტოები
ბადრი ვადაჭკორიასი

სსფ-ს დარბაზის სხდომის ანგარიში

ამა წლის 27 მაისს გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა.

პირველ საკითხად მოისმინეს საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის მოადგილის დავით არევაძის ინფორმაცია ამ სისტემაში რეფორმების მიმდინარეობისა და სხვა საჭირბოროტო პრობლემების შესახებ. როგორც გამომსვლელმა აღნიშნა, მათმა უწყებამ მოიხსნა მართვის ფუნქციები და უშუალოდ საწარმოებს გადაულოცა იგი, თვითონ კი მხოლოდ საკოორდინაციო ფუნქციები დაიტოვა. ამგვარი დეცენტრალიზაციის შედეგად, თავისთავად დგება სამრეწველო საწარმოთა პრივატიზაციის საკითხიც.

ბატონმა დავით არევაძემ საინტერესოდ ისაუბრა მრეწველობის ცალკეული დარგების, ჩვენი კადრების მაღალი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის, სასარგებლო წიაღისეული საბადოების, აგრეთვე ნავთობისა და გზის სატრანზიტოდ საქართველოს ტერიტორიის გამოყენების თაობაზე, საიდანაც 3 პროცენტი ჩვენ უნდა დაგვრჩეს...

დარბაზის წევრებმა მეორე საკითხად მოისმინეს სსფ-ს ეკოლოგიური კომისიის თავმჯდომარის გია ბეგიაშვილის ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ.

გამომსვლელმა აღნიშნა, რომ შეიქმნა პროექტი, რომელზეც კომპლექსურად მუშაობდნენ სხვადასხვა ინსტიტუტები, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები და მოწვეულ ექსპერტთა ჯგუფი გერმანიიდან; მოეწყო რვა ექსპედიცია საქართველოს რეგიონებში და ამ მუშაობის შედეგად შექმნილი პროექტი, რომელიც უეჭველად უნდა განეხილა ჯერ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის განყოფილებებს, შემდეგ კი საქართველოს მთელ მოსახლეობას, 5 დეკემბერს ჩაბარდა მთავრობას; მაგრამ დეკემბერ-იანვრის მოვლენების გამო მისი განხილვა შეჩერდა. ახლა სახელმწიფო საბჭოს მიერ მწვანეთა პარტიის წარდგინებით განხილვის გარეშე მიღებული იქნა ეს პროექტი...

სსფ-ს დარბაზის წევრთა წინადადებით, მომავალი, 11 ივნისის დარბაზის სხდომაზე მოწვეული უნდა იქნენ რეგიონალური ორგანიზაციების წევრები, მწვანეთა პარტიის წარმომადგენლები, რათა ერთობლივად იმსჯელონ ამ პრობლემაზე.

განცხადება

საქართველოს სახალხო ფრონტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მიმდინარეობს საწევრო წიგნაკების გამოცვლა. ამასთან დაკავშირებით რეგიონებისა და დამოუკიდებელი ჯგუფების ხელმძღვანელებს ვთხოვთ დროულად წარმოადგინონ საქართველოს სახალხო ფრონტის წევრთა დაზუსტებული სიები ახალი წიგნაკების მისაღებად, ხოლო მათ, ვისაც სურს ჩვენს ორგანიზაციაში შემოსვლა, მობრძანდნენ საქართველოს სახალხო ფრონტის ახალ შტაბ-ბინაში, საალრიცხვო განყოფილებაში შემდეგ მისამართზე: პუშკინის ქ.№5, II სართული (თავისუფლების მოედანზე) ტელ.: 99—76—25.

საქართველოს სახალხო ფრონტის საორგანიზაციო-საალრიცხვო განყოფილება.

საქართველოს მწერალთა კავშირის თარგმანის საგამომცემლო ცენტრი

ხოლი

«ხოლი»

გთავაზობთ:

„XX საუკუნის ამერიკული რომანი“ (ლია სერია)

1. უ.ფოლკნერი „ აგვისტოს ნათელი“
2. ჯ.სტაინბეკი — „ტორტილა ფლეტი“, „ამბავი კაცთა და თაგვთა“
3. ე. ჰემინგუეი — „მშვიდობით იარაღო“
4. ვ.ნაბოკოვი — „ლოლიტა“
5. თ. უაილდერი — „თეოფილ ნორტი“
6. ჯ.სელინჯერი — „თამაში ჭვავის ყანაში“
7. კ.კიზი — „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“
8. ჯ.აპდაიკი — „კენტავრი“
9. ჯ.ჰელერი — „22-ე შესწორება“
10. მ. პიუზო — „ნათლია“ (ახალი, სრული თარგმანი)

საგამომცემლო ცენტრი გარანტიას იძლევა, რომ ის ნაწარმოებები, რომლებიც პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე, ჭეშმარიტ პროფესიულ დონეზე იქნება შესრულებული, ხოლო ადრე გამოცემულ თარგმანებს ახალი რედაქციით იხილავს მკითხველი.

(საგამომცემლო ცენტრის ბეჭდის გარეშე აბონემენტს ძალა არა აქვს).

მისამართი:

ქ. თბილისი, ლესელიძის 4.

მსოფლიო ლაბორატორიის სამეცნიერო—საგანმანათლებლო ცენტრი საქართველოში

გთავაზობთ:

სამაგიდო ტიპოგრაფიის კომპიუტერული სისტემის საშუალებით წიგნებისა და ჟურნალ—გაზეთების, სავიზიტო ბარათების, ბლანკების და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის ორიგინალ-მაკეტების მომზადებას,

აგრეთვე

სხვადასხვა კომპიუტერული ავტომატიზირებული სისტემების შექმნასა და ექსპლუატაციას.

საკონტაქტო ტელეფონები: 23-53-17, 29-48-61, 29-48-60

დღესასწაულის საზეიმო ქრონიკა არასაზეიმო ამბებით

(დასაწყისი I გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარატით იღებდნენ დემონსტრაციის დაშლას, მაგრამ მათთვის არავის გაუცია ხმა...

განსაკუთრებით აქტიურმა მომიტინგეებმა თბილისის კომენდანტის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი, „მხედრიონის“ ერთ-ერთი ლიდერი ვ.არველაძე შუაში მოიმწყვდიეს და პერანგიც შემოახიეს. მან მხოლოდ პისტოლეტის ჰაერში სროლით შეძლო მოძალებული ხალხისაგან თავის დაღწევა და ახალი შემართებით შეუტია დემონსტრანტებს.

იქვე, გამომცემლობის შესასვლელთან, მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს პისტოლეტით შეიარაღებული დემონსტრანტი, რომელიც უხმაუროდ გაკოჭეს და უმალ „გააქრეს“. ამის შემყურე ერთი ქალბატონი მათ დაემუქრა, „აი, ქალებიც რომ ავიღებთ ხელში იარაღს, მაშინ ნახავთ“-ო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დემონსტრაცია ორიოდ წუთში იქნა დაშლილი, მაგრამ გამვლელთა „ფილტრაცია“ გაგრძელდა. შეიარაღებული მილიციელები, ეტყობა, სახეზე სცნობდნენ ექსპრეზიდენტის მომხრეებს და რესპუბლიკის მოედნისკენ გზას უღობავდნენ (მომიტინგეთა დარბევა მომხდარა სამედიცინო ინსტიტუტთანაც).

ნახევარ საათში ტრანსპორტის მოძრაობაც აღდგა, მილიცია და „მხედრიონიც“ წავიდა, ჩვენ კი ერთი სურვილი დაგვრჩა — კარგი იქნებოდა, ისინი საქართველოში და, კერძოდ თბილისში მოთარეშე შეიარაღებულ ბანდებს ებრძოდნენ იმ შემართებით, როგორც ამას ექსპრეზიდენტის მომხრე ქალბატონთა წინააღმდეგ აკეთებენ...

კი აღშფოთდება წესრიგის დამცველი ჯოჰარ დუდაევის სურათჩახუტებულ ქართველ ქალს რომ დაინახავს, განსაკუთრებით 26 მაისს, მაგრამ...

„მაგრამ, ეს მაგრამ რა ხშირია ჩვენს ლექსიკონში...“

თენგიზ გოგოტიშვილი

დაიჯესტი

მკურნალიც ამას ჰქვია!

პეტერბურგის ერთ-ერთ საავადმყოფოში ქირურგიულ განყოფილებაში ნაოპერაციევ ავადმყოფს ქათმის ბულიონი ორგანიზმში წვეთოვანით შეუყვანეს.

ამ ორიგინალური მეთოდის დამნერგავი აღმოჩნდა პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტი გოგონა, რომელმაც პირდაპირი მნიშვნელობით გაიგონა ავადმყოფის მუდარა — ნეტავი, ერთი ბულიონის წვენი ჩამიწვეთონო...

მთელი ღამის განმავლობაში დასტრიალებდნენ თავს ექიმები ბულიონჩაწვეთებულ ავადმყოფს და ძლივს გამოგლიჯეს სიკვდილს.

ბარტერული გაცვლა

ყოფილი საბჭოეთის მთელს ტერიტორიაზე აღებ-მიცემასთან დაკავშირებით ისეთი მოვლენები ხდება, რომ ადამიანის ფანტაზია ვერც წარმოიდგენს. ასე მაგალითად: ზღვისპირეთში, ვინმე ალიანა ფროლოვამ თავისი ერთი თვის ბავშვი ჯინსის კაბასა და კოსმეტიკურ ნაკრებში გაცვალა. თუმცა ამისთვის იგი არავის დაუსჯია, რადგან საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს ამგვარ ქმედებებს.

დირექცია ტუალეტში გაამწესეს...

ქ. დნეპროპეტროვსკის ხელისუფლებამ, ეკონომიის მიზნით, „გაყინა“ №28-ე სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა და მოსწავლეთა განვითარების საკითხი მარტივად გადაწყვიტა: გაიცა ბრძანება, სასწავლო კლასებად გადაეკეთებინათ...ტუალეტები.

მოსწავლეთა საგაფიცავო კომიტეტმა ეს ფაქტი შეურაცხყოფად მიიღო და სკოლის დირექციას გაფიცვით დაემუქრა. მაგრამ ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ მოსწავლეებმა კომპრომისული ვარიანტი შეიმუშავეს: ყოფილ ტუალეტებში გადაეტანათ დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგისა და მასწავლებელთა კაბინეტი, ხოლო განთავისუფლებული ოთახები მოსწავლეებისათვის დაეთმოთ.

ერთი ცოლი — ცუდი ცოლი

იაკუტიის ეროვნულმა მოძრაობამ „საჰა ომუკი“ რესპუბლიკის საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა საკითხი „იაკუტიურ ოჯახებში მრავალცოლიანობის აღდგენის თაობაზე“. სხვაგვარად ძალიან გაჭირდა დემოგრაფიული და ეროვნული პრობლემების მოგვარება, — მიიჩნევენ ამ პროექტის ავტორები.

მოსალოდნელია, რომ ამ წინადადებას რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, სულ მალე, კანონიერ სახეს მისცემს.

დეფიციტის მსხვერპლნი

მასიური მოწამვლა მოხდა რუსეთის ერთ-ერთი სოფლის საბავშვო ბაღში. ბავშვების მოწამვლის მიზეზი აღმოჩნდა...კლოფელინის ამბები.

პაწია ლენა, ვინც ეს წამლები ბებოს მოპარა სრულიად უდანაშაულო გახლდათ. ტკბილეულს დანატრებულმა გოგონამ კანფეტად მიიჩნია მოტკბო გემოს ამები და თავად რომ „ჩაიტკბარუნა“ პირი, არც მეზობლები დაივიწყა.

მოამზადა
ს. იმერმა

მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში I გვერდზე I სვეტში, აჭარის შესახებ ინფორმაციაში ნაცვლად „შოთა ჭურკვეიძე, შოთა ზოიძე და სანდრო ბერიძე ოპოზიციონერები არიან“ უნდა იყოს „...ოპოზიციონერები არ არიან“.

ინდექსი 66447

ფასი 3 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი